პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

23 ნოემბერი კვირა 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი

№ 273 (14573)

სახალხო კონტროლიორთა არჩევნები

საბჭოთა სახელმწიფოში, რომელიც გამოხატავს მთელი ხალხის ინტერესებსა და ნებას, კონტროლის უფლება ეკუთვნის თვით ხალხს, როგორც თავისი ქვეყნის ერთადერთ ბატონ-პატრონს.

სოციალისტური დემოკრატიის თანმიმდევრული განვითარებისა და სრულყოფის ერთ-ერთი მაგალითია სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობა. მათ დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს ჩვენს საბჭოთა საზოგადოებაში. ეს რომ ასეა, ამისი დადასტურებაა ის, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცეს „დებულება სსრ კავშირის სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ". ეს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელშიც ხორცშესხმულია და კიდევ უფრო განვითარდა ფუძემდებელი ლენინური მითითებანი საბჭოთა სახელმწიფოს კონტროლის ადგილისა და როლის შესახებ, განსაზღვრულია მისი ორგანოების მუშაობის ამოცანები, უფლებანი, მოვალეობანი, ფორმები და მეთოდები.

ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის მიღების შემდეგ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის ორგანოებმა, მისმა ჯგუფებმა და საგუშაგოებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით კიდევ უფრო გააქტიურეს მუშაობა. დღეს, როცა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ფართოდ გაჩაღებულია დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება, შრომითმა კოლექტივებმა იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი. სახალხო კონტროლიორების მოვალეობაა აქტიურად შეუწყონ ხელი მათ შესრულებას.

სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობაში ძირითად რგოლს წარმოადგენენ ჯგუფები და საგუშაგოები, რომლებიც კონტროლს ახორციელებენ უშუალოდ საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში. ისინი აქტიურ დახმარებას უწევენ პარტიულ ორგანიზაციებსა და ადმინისტრაციას მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამომძღავნებისა და აღმოფხვრაში. ამის თავდებია მასობრივი რეიდები, შემოწმებანი, დათვალიერებანი, რომლებიც, როგორც წესი, მთავრდება კონკრეტული დადებითი შედეგებით. შარშან და მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების ხელშეწყობით დაიზოგა დიდძალი ელექტროენერგია, სათბობი, შაკი და ფერადი ლითონები, ხე-ტყე და სხვა მასალები. გამოავლინეს შთელი რიგი დარღვევანი.

სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობა კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება მაშინ, თუ მათში ავირჩევთ ყველაზე ღირსეულ, საქმის მცოდნე და პრინციპულ ამხანაგებს, რომელთა ფხიზელ თვალსა და ყურს არაფერი გამოეპარება, დროულად მიაცნენ სიგნალს პარტიულ ორგანიზაციებსა და ადმინისტრაციას მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ.

ეს მომენტი უკვე დადგა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილებების შესაბამისად მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში უნდა მოეწყოს სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების ანგარიშგება-არჩევნები, პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებამდე რამდენიმე დღით ადრე.

სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების ანგარიშგება-არჩევნების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ დონეზე ჩატარებისათვის პარტიის რაიონულ კომიტეტებთან შეთანხმებით შედგა კრებების განრიგები. ორგანიზაციებზე მიმაგრებულ იქნენ პარტიის რაიონული კომიტეტების წევრები, რაიკომებისა და რაიალსახკომების მუშაკები, სახალხო კონტროლის კომიტეტების აქტივისტები, რომლებიც პირველად პარტიული ორგანიზაციების მდივნებთან და სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეებთან ერთად უზრუნველყოფენ ამ პასუხსაგები კამპანიის მაღალ დონეზე ჩატარებას.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა ჩაატარეს ჯგუფების თავმჯდომარეებისა და მიმაგრებული ამხანაგების საინსტრუქტაჟო თათბირი, განუმარტეს საბჭოთა კავშირის სახალხო კონტროლის ორგანოების დებულების შესაბამისად არჩევნების ჩატარების წესი, განსაკუთრებული უურადღება მიაქციეს სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების სწორად, ორგანიზაციის სტრუქტურის შესაბამისად შექმნისა და დაკომპლექტების, სახალხო კონტროლიორებად ყველაზე აქტიური და ავტორიტეტიანი მუშების, კოლმეურნეების, მოსამსახურეების, აგრეთვე პენსიონერებისა და დიასახლისების, როგორც კომუნისტების, ისე უპარტიოების წამოყენების, სახალხო კონტროლიორთა შორის ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის საქმეს.

ჩვენს რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების ანგარიშგება-არჩევნები ყველგან დაიწყო. საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა რამდენიმე დღის წინათ განიხილა გურჯაანისა და ქობულეთის რაიონული კომიტეტების ანგარიში სახალხო კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებში ანგარიშგება-არჩევნების მიმდინარეობის შესახებ. 15 ნოემბრისათვის კრებები გაიმართა გურჯაანის რაიონის 36, ხოლო ქობულეთის რაიონის 32 ორგანიზაციაში. სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარეები ყველგან, როგორც წესი, არჩეულ იქნენ პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილეებად.

კრებებმა ბევრგან მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩაიარა. მაგალითად, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობაში ბრიგადებსა და ფერმებში ჩატარებულ კრებებზე კოლმეურნეებმა კონკრეტული განაწესი მისცეს სახალხო კონტროლიორებს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. ახლად არჩეულ სახალხო კონტროლის ჯგუფის პირველსავე სხდომაზე გამოუფიფილ იქნენ საკოლმეურნეო ქონების დაცვების, ფინანსების, მატერიალურ საშუალებათა, ელექტროენერგიისა და სწვავ-საცხები მასალების მომჭირნეობით ხარჯვის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის მუდმივმოქმედი კომისიები, რომლებსაც სათავეში ჩაუდგნენ ჯგუფის ბიუროს წევრები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო კონტროლის ჯგუფის ანგარიშგება-არჩევნების მიმდინარეობის პერიოდში გამოვლინდა ცალკეული ნაკლოვანებებიც. ქობულეთის მეორე ჩაის ფაბრიკაში კრებაზე ჯგუფის თავმჯდომარე შ. ინაიშვილმა უშნაკარსო, ზერელე მოხსენება წარმოადგინა, მასში მოცემული არ იყო ჯგუფის მუშაობისა და ფაბრიკის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სრული ანალიზი, არაფერი იყო ნათქვამი მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, მათ გამომწვევ მიზეზებსა და გამოსწორების ღონისძიებებზე.

სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების ანგარიშგება-არჩევნები მაღალ პოლიტიკურ და საქმიან ვითარებაში მიმდინარეობს ქალაქებში ქუთაისსა და ფოთში, სოფლებში, ახალქალაქის, ბოლნისის, საგარეჯოს, წულუკიძისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

ბევრგან სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარეებმა * თავი გამოიჩინეს მუშაობაში, მათ მეტი ნდობა გამოუცხადეს. მაგალითად, ქალაქ ფოთში ჯგუფის ყოფილი 8 თავმჯდომარე არჩეულ იქნა პარტიული ორგანიზაციის მდივნად, ტყიბულში — 4, გალის რაიონში — 7, თბილისის პირველი მაისის რაიონში — 8, თბილისის 26 კომისრის რაიონში — 7.

ახლა მთავარია ძირეულმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტებმა გაითვალისწინონ ანგარიშგება-არჩევნების დროს გამოვლინებული ნაკლოვანებანი, მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩაატარონ კრებები. განსაკუთრებული უურადღება დაუთმონ კრებებზე შრომელთა დასწრებას, სახალხო კონტროლის ჯგუფების მოხსენებების საქმიან განხილვას, ჯგუფებისა და საგუშაგოების შექმნას ორგანიზაციების სტრუქტურის შესაბამისად, ისე, რომ სახალხო კონტროლის ფხიზელი თვალი ყველგან მისწვდეს. განსაკუთრებული უურადღება მიაქციონ იმას, რომ ახლად არჩეულ ჯგუფებში პირველსავე კრებაზე შექმნან მუდმივმოქმედი კომისიები და სექტორები, დროულად განიხილონ კრებებზე გამოვლენილი ნაკლოვანებანი და დასახონ ღონისძიებანი შემდგომში უკეთ მუშაობისათვის.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ 100

მკიმეწონიანი ეშელონები

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). საოლქომოტივო დეპოს კოლექტივმა, რომელიც უწუნოდ და უავარიოდ მუშაობს, გადაკარბებით შეასრულა ათი თვის დავალება. განვლილ პერიოდში დეპოელებმა 114,4 პროცენტით შეასრულეს სადღეღამისო გარბენის გეგმა, ტექნიკური სიჩქარე საათში 0,89 კილომეტრით გაადიდეს, ნორმასთან შედარებით 2,16 პროცენტით შეამცირეს ავადმყოფი ელმავლების რიცხვი და 47.500 მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღეს.

ქუთაისელმა რკინიგზელებმა ათ თვეში ტყიბულ-ქუთაისის რთულპროფილიან უბანზე ქვანახშირით დატვირთული 1.482 ძმიმეწონიანი ეშელონი გადაიყვანეს და 163 ათას ტონაზე მეტი ზეგეგმითი ტვირთი გადაზიდეს.

ლენინურ შრომითს ვახტზე დაწინაურდნენ ელმავლის მემანქანეები ი. გოგოხია, მ. ჯიხვაშვილი და მ. გვეტაძე.

ᲣᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐᲪᲘᲝᲓ

ᲧᲐᲚᲐᲢᲨᲘ. (საკ. კორ.). ქიმიური ქარხნის კოლექტივი, რომელიც ახლა თავის პროდუქციას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ხუთასამდე მისამართით გზავნის, ხუთწლედის დამდეგიდან ურეკლამაციოდ მუშაობს. ქიმიკოსებმა განვლილ ათ თვეში 153 ათასი მანეთით მეტი პროდუქცია გამოუშვეს, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული.

სამეურნეო წლის ზღუდესთან

● ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). ბათუმის ნავსადგური ერთ-ერთი მოწინავეა არა მარტო საქართველოს სანაოსნოში, არამედ მთელს შავი ზღვის აუზში. სოციალისტურ შეჯიბრებაში მენავსადგურეებმა ახალი გამარჯვება მოიპოვეს, გადაჭარბებით შეასრულეს ტვირთების გადამუშავების წლიური გეგმა. გადამუშავებულია 882 ათას ტონაზე მეტი ტვირთი. შეჯიბრების ავანგარდში არიან ნავსადგურის მუშათა კომპლექსური ბრიგადები, რომლებსაც რ. კობახიძე, ე. დეკანაძე, ბ. ახვლედიანი ხელმძღვანელობენ.

● ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ. (საკ. კორ.). ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებს მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტის 134 მოძრავი მექანიზებული კოლონა (უფროსი ა. გეგეჭკორი). მესამე კვარტალის მონაცემებით მშენებლები კვლავ პირველ ადგილზე გამოვიდნენ საკავშირო სოცშეჯიბრებაში. ახალციხელმა მშენებლებმა ალმავლობით ბრძოლეს ოქტომბერშიც. 10 თვეში შეასრულეს 1.219 ათასი მანეთის სამუშაო, რითაც ვადაზე ორი თვით ადრე 123 პროცენტით გაანაღდეს წლიური დავალება.

ლენინურ შრომითს ვახტზე დაწინაურდნენ ვ. მელიქიძისა და ი. ხატიაშვილის სამშენებლო უბნები, რომლებმაც დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს წლიური დავალებები და ახლა მომავალი წლის ანგარიშში მუშაობენ.

კვლავ პირველ ადგილზე

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. („კომუნისტის" კორ.). დირსეულად ატარებს კომუნისტური შრომის საწარმოს სატიტო წოდებას რძის კომბინატის კოლექტივი (დირექტორი გ. დუნაძე), რომელიც საიუბილეო შრომითს ვახტზე დგას და წარმატებით იბრძვის ნაკისრ ვალდებულებათა ვადამდე განაღდებისათვის.

კომბინატის კოლექტივმა შესანიშნავი შრომითი მაჩვენებლებით დაამთავრა ხუთწლედის მეოთხე წლის ათი თვე, განვლილ პერიოდში პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 101,7 პროცენტით შესრულა და ზომხმარებელს გეგმით გათვალისწინებულზე 224,5 ათასი მანეთით მეტი დირებულების რძე და რძის ნაწარმი მიაწოდა, ხოლო მესამე კვარტლის მაჩვენებლების მიხედვით ზედსდგ მეთხუთმეტედ შეინარჩუნა საკავშირო გარდამავალი დროშა.

საწარმოს შიერ მოპოვებული წარმატებები ბევრად განაპირობა საკომსსმელო და ხაჭოს საამქროთა გამართულმა მუშაობამ. ასევე კარგ შრომითს მაჩვენებლებს აღწევენ მოწინავე მუშები ნ. ჭინჭარაძე, ნ. ჯიქურიძე, ნ. სარალიძე და გ. გაგუა.

შილდელთა რჩეული ეკონომისტი

[illegible] ᲨᲘᲚᲓᲘᲡ [illegible] ᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲡᲢᲘ

[illegible] ᲨᲘᲚᲓᲘᲡ [illegible] ᲠᲩᲔᲣᲚᲘ [illegible] ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲡᲢᲘ

[illegible] შილდის [illegible] ᲠᲩᲔᲣᲚᲘ [illegible] ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲡᲢᲘ

[illegible] ᲨᲘᲚᲓᲘᲡ

ᲓᲦᲔᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲣᲤᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 3-დან 22 ნოემბრამდე საბჭოთა კავშირში მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობდა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის საგონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე ნგუენ �ᲗᲮᲝ.

ერთობლივ კომუნიკეში ამ ვიზიტის შესახებ აღნიშნულია, რომ საბჭოთა ადამიანები ყველგან მხურვალედ მიესალმებოდნენ დელეგაციას.

დოკტორი ნგუენ ხიუ თხო ესაუბრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნინს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ბ. ნ. პონომარიოვს. ეს საუბრები გულთბილობის, მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა.

საბჭოთა კავშირისა და სამხრეთ ვიეტნამის მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები სამხრეთ ვიეტნამის აღლანდელი სამხედრო-პოლიტიკური ვითარებისა და ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიასთან დაკავშირებით ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე შექმნილი მდგომარეობის საკითხებზე, აგრეთვე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის განვითარების, საბჭოთა კავშირსა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკას შორის, საბჭოთა ხალხსა და ვიეტნამელ ხალხს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საკითხებზე. დელეგაციამ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკას, რომლის მიზანია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის მხარის დაჭერა და მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა, ხალხები დიდი პატივისცემით ეკიდებიან.

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, ნათქვამია კომუნიკეში, გამოთქვეს სამხრეთ ვიეტნამელი პატრიოტების მხურვალე სიყვარული და დიდი პატივისცემა მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრულ ხალხთა გენიალური მეთაურისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინისადმი, რომლის დაბადების 100 წლისთავის ზეიმით აღნიშნეს ეს. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲓᲦᲔᲡᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲗᲘᲗᲝ ᲗᲘᲗᲝ ᲗᲘᲗᲝ.

ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔᲨᲘ ᲐᲛ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ, რომ საბჭოთა ადამიანები ყველგან მხურვალედ მიესალმებოდნენ დელეგაციას.

დოკტორი ნგუენ ხიუ თხო ესაუბრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნინს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ბ. ნ. პონომარიოვს. ეს საუბრები გულთბილობის, მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა.

საბჭოთა კავშირისა და სამხრეთ ვიეტნამის მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები სამხრეთ ვიეტნამის აღლანდელი სამხედრო-პოლიტიკური ვითარებისა და ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიასთან დაკავშირებით ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე შექმნილი მდგომარეობის საკითხებზე, აგრეთვე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის განვითარების, საბჭოთა კავშირსა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკას შორის, საბჭოთა ხალხსა და ვიეტნამელ ხალხს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საკითხებზე. დელეგაციამ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკას, რომლის მიზანია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის მხარის დაჭერა და მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფა, ხალხები დიდი პატივისცემით ეკიდებიან.

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, ნათქვამია კომუნიკეში, გამოთქვეს სამხრეთ ვიეტნამელი პატრიოტების მხურვალე სიყვარული და დიდი პატივისცემა მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრულ ხალხთა გენიალური მეთაურისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინისადმი, რომლის დაბადების 100 წლისთავის ზეიმით აღნიშნესთვის ემზადება მთელი პროგრესული კაცობრიობა. დელეგაციის წევრებმა განაცხადეს, რომ ლენინის იუბილე სამხრეთ ვიეტნამში აღინიშნება მთელი ხალხის შეკავშირების გაძლიერების ნიშნით, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იბრძოლოს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ და გაიმარჯვოს.

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციამ საბჭოთა მხარეს აცნობა, თუ რა გამარჯვებანია მოპოვებული აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლის ყველა ფრონტზე, რა საქმიანობას ეწევიან განთავისუფლების ეროვნული ფრონტი და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობა სხვადასხვა დარგში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ სამხრეთვიეტნამელი პატრიოტები კვლავაც მტკიცედ იბრძოლეს აგრესიის წინააღმდეგ სამ ფრონტზე: სამხედრო, პოლიტიკურ და დიპლომატიურ ფრონტებზე.

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის ხელმძღვანელობით სამხრეთვიეტნამელი ხალხის მიერ მოპოვებული დიდი გამარჯვებანი განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების, მშვიდობისა და სამართლიანობისათვის მებრძოლი ყველა სახელმწიფოს მხარდაჭერასა და დახმარებასთან. განთავისუფლების ეროვნული ფრონტისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციამ სამხრეთვიეტნამელი ხალხის, განთავისუფლების ეროვნული ფრონტისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის სახელით გულწრფელი და დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა კავშირის მთავრობასა და მოძმე ხალხს თანაგრძნობისა და დიდი, მძლავრი, ეფექტიანი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ, სამშობლოს ხსნისათვის ბრძოლაში, რასაც სამხრეთ ვიეტნამის ხალხი ეწევა.

საბჭოთა მხარემ აღტაცება გამოთქვა სამხრეთ ვიეტნამის გმირი ხალხის ბრძოლის გამო. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნა იყო დიდი მნიშვნელობის მოვლენა, შემდგომი წინგადადგმული ნაბიჯი სამხრეთ ვიეტნამის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარების გზაზე.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერგული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა კავშირის მთავრობა და ხალხი კვლავაც ყოველმხრივ დამხმარებასა და მხარდაჭერას გაუწევენ სამხრეთ ვიეტნამის ხალხს, განთავისუფლების ეროვნულ ფრონტსა და დროებით რევოლუციურ მთავრობას სამშობლოს ხსნისათვის და ყველა ინტერვენტთა ჯარებისაგან მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მეწყვიტონ აგრესიული ომი სამხრეთ ვიეტნამში, მთლიანად და უშენშვნოდ გაიყვანონ ამერიკის ჯარები და მათი მოკავშირეების ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან, რათა ვიეტნამელ ხალხს შეეძლოს თვითონ გადაწყვიტოს თავისი საშინაო საქმეები უცხოეთის ჩაუერევლად. ვიეტნამის ხალხს აქვს თავისი სამშობლოს სრული განთავისუფლებისათვის ბრძოლის უფლება. ეს ყოველი ხალხის წმიდათაწმიდა და ხელშეუვალი უფლებაა.

განთავისუფლების ეროვნული ფრონტისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციამ, როგორც აღნიშნულია კომუნიკეში, გულწრფელი მადლობა გადაუხადა საბჭოთა ხალხს კეთილი გრძნობებისათვის სამხრეთ ვიეტნამის ხალხისადმი, მხურვალე მასპინძლობისათვის, რაც მას სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, საბჭოთა კავშირის მთავრობამ და მთელმა საბჭოთა ხალხმა გაუწიეს.

ორივე დელეგაციამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება სსრ კავშირსა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკას შორის, განთავისუფლების ეროვნული ფრონტისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციის მეგობრული ვიზიტი საბჭოთა კავშირში ახალი წინგადადგმული ნაბიჯია საბჭოთა კავშირის ხალხთან და მთავრობასთან სამხრეთვიეტნამელი ხალხის, განთავისუფლების ეროვნული ფრონტის, დროებითი რევოლუციური მთავრობის მეგობრული ურთიერთობისა და საბრძოლო სოლიდარობის განვითარების გზაზე. ორივე მხარე ყოველ ღონეს იხმარს, რომ განავითაროს ეს მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის ხალხთა ინტერესებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებისათვის. (საკდესი).

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲡᲣᲜᲐᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ, 21 ნოემბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებისას თურქეთის პრეზიდენტმა ჯევდეთ სუნაიმ აეროდრომზე პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: „ამ ვიზიტმა შესაძლებლობა მომცა გავცნობოდი საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეებს. შესაძლებლობა მქონდა ოგრეთვე ვწვეოდი საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკას და შემესწავლა მათი ცხოვრების სხვადასხვა მხარე. უმაღლესი თანამდებობის საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეებთან მოლაპარაკების დროს, რომელიც მიმდინარეობდა ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის შესახებ, ვფიქრობ, ერთმანეთს გავუზიარეთ აზრი ძირითად საერთაშორისო პრობლემებზე, მათ შორის ევროპის უშიშროების პრობლემებსა და კვიპროსის პრობლემაზე. გამოვვქვეთ აზრი, რომ საჭიროა შეიქმნას პირობები ევროპის უშიშროების მეტი რწმენის უზრუნველსაყოფად.

განვიხილეთ სხვადასხვა დარგში ჩვენი ორმხრივი ურთიერთობის განვითარების პრობლემები. ორივე მხარემ გამოთქვა სურვილი განაგრძოს მეცადინეობა ამ მიმართულებით.

კმაყოფილი ვართ ჩვენი მოგზაურობით. ყველგან, სადაც ვყოფილვარ, საბჭოთა ხალხი გულთბილად გვხვდებოდა“.

◆

ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲘᲗ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 21 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მოადგილემ დ. პაკარდმა დაამთავრა ექვსი დღის საინსპექციო მოგზაურობა სამხრეთ ვიეტნამში.

პაკარდმა საიგონის აეროპორტში განაცხადა, რომ პრეზიდენტ ნიქსონს ურჩევს განაგრძოს ახლანდელი სავიეტნამო კურსი. მისი განცხადებიდან ჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავინდებურად იმედს ამყარებს სამხრეთ ვიეტნამში სიმარი მოქმედების ინტენსიფიკაციაზე.

ხელისუფლების სათავეში რესპუბლიკური ადმინისტრაციის ჩადგომის შემდეგ ეს გაკოტრებული პოლიტიკა ხორციელდება ომის განგრძობის ეგრეთ წოდებული „ვიეტნამიზაციის“ ნიღბით, ესე იგი უპირატესად საიგონელი მარიონეტების ხელით, რათა შეამცირონ ამერიკის ზარალი და ამრიგად შეანელონ ამერიკის შეერთებულ შტატებში ომის საწინააღმდეგო მოძრაობის სიმწვავე.

ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲘᲗ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 21 ნოემბერი. (საკდესი). „ამერიკული ტიუები, ჭალები და აუკავებული მდელოები დავინახე. მაშინვე გავიფიქრე, რომ ეს ის ადგილი იყო, რომელზეც მთელი ხიცოცხლის განმავლობაში ვოცნებობდი, — ოკონგბდა შემდეგ ოგი ცნობისმოყვარეებთან საუბარში. რალფ ედვარდსმა ბრწყინალი გაატარა ლოუნსამ ლეიკში, თავისსავე აგებულ ქოხში.

ედვარდსმა თანამედროვე რობინზონ კროზოს სახელი მას შემდეგ მოიხვეჭა, რაც მან კონტინენტის ერთ-ერთ მივარდნილ ადგილას და ველურ გარემოში სასეთარი ხელით ფერმა მოაწყო.

ედვარდსი ახალ პირობებში საცხოვრებლად 1912 წელს გადასახლდა კალიფორნიიდან. აქ მან არა მარტო ქოხი აიშენა და ფერმა მოაწყო, არამედ ადგილობრივი ხე-ტყისაგან ნისკვილიც ააგო. „რობინზონ კრუზო“ თვითონვე ამზადებდა ფეხსაცმელსა და ტიუკს, და დანილ დეფოს გმირს გადააჭარბა იმით, რომ ადგილობრივი საშუალებებით ხის... რკინიგზაც კი გაიყვანა. ახალ გარემოში საცხოვრებლად აუცილებელი ალეტურეულობა ედვარდსმა შეეროებული შტატებიდან წაიღო. ეს იყო ნაჯახი, რკინის მილები, მავთული. შაშხანა და ბასე. საცხოვრებლად აუცილებელი დანარჩენი მასალა: ქვა-ლორი და ტუე. ოგრეთვე ტანსაცმელი — ნადირის ტყავი. ადგილობრივ ტუეებსა და ჭალებში უხვად იყო. ხის ნიჩაბელის მამოძრავებელ მიდროენერგიად ადგილობრივი მდინარე გამოიყენა. ლიანინისაგან დამზადებული იყო მხოლოდ ხის ბორბლებში ჩასმული წკირები, ლოლაბის ლერძი და ღვედური. გადაეცემის ბორბლები, დანარჩენი კი — ადგილობრივი ნედლეულისაგან.

ტყიდან საჭირო მასალის გამოხატანად ედვარდსმა ხის ერთ-ერთი მტკიცე და. გამძლე ჯიშის — ირეის ხისგან მშვენიერი რკინიგზა გაიყვანა. ხასუნის შესასმირებლად ხის ლიანდაგს იქვე დამზადებული ცხიმით ბოხავდა. კუნძულზე არსებობისათვის აუცილებელი პირობების შექმნის შემდეგ „რობინზონმა“ მეზობელ დასახლებულ პუნქტებთან კონტაქტის დამყარება გადაწყვიტა. ამ მიზნით უკვე 60 წელს გადაცილებული რალფ ედვარდსი შეერთებულ შტატებში მიემგზავრება, სადაც მეორეხარისხოვან თვითმფრინავს იძენს. 62 წლის ასაკში ედვარდსი ეუფლება მილოტაჟის რთულ ხელოვნებას და თავისი სახელოვანი „წინაპრისაგან“ განსხვავებით ადვილად იმორჩილებს ლოუნსამ ლეიკის მახლობელ სივრცეებს. ამჟამად ხანდაზმულმა გმირმა მხოლოდ სულ რაღაც ორიოდე წლის წინათ გადაწყვიტა, რომ ჰაერში ფრენისათვის საკმაოდ მოხუცდა, თავისი მამული გაიყიდა და საცხოვრებლ-ად პირველადელი სამშობლოს ჩრდილოეთით 350 მილზე მდებარე კუნძულ პორჩერის მდინარე ოონს ნაპირები აირჩია.

ახალმა საცხოვრებელმა ედვარდსი თავისი მდიდარი მდინარეებით მიიზიდა. აუცილებელი საგზაოების საბაერო ტრანსპორტი აქ მდინარის ტრანსპორტმა შეცვალა.

თანამედროვე რობინზონ კრუზომ საზოგადოების ყურადღება მიიქცია ოგრეთვე იშვიათი ფრენვლის, გადამშენების პირზე მისული მყვარალა გედის გადარჩენისათვის ზრუნვით.

ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲚᲘ

ᲑᲠᲐᲖᲐᲕᲘᲚᲘ, 21 ნოემბერი. (საკდესი). ბრაზილიის კონგოს ახლად შექმნილ საგანგებო რევოლუციურ ტრიბუნალში 20 ნოემბერს დაიწყო პროცესი „1965 წლის მკვლელობათა საქმის გამო“ (მხედველობაშია მიღებული კონგოელ პოლიტიკურ მოღვაწეთა ჯგუფის მკვლელობა). კონგოს ტელევიზია იუწყება, რომ სასამართლოში მიცემულ პირთა შორის არიან ბრაზილის კონგოს ყოფილი პრეზიდენტი ალფონს მასამბა-დება, ყოფილი პრემიერ-მინისტრები პასკალ ლასუბა და ანბრუაზ ნუმაბალი.

ᲒᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲢᲣᲠᲜᲔ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 21 ნოემბერი. (საკდესი). კოტბუსში უკანასკნელი გამოსვლით დამთავრდა საქართველოს სსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის სამი კვირის გასტროლები, რაც მიმდინარეობდა „გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქართველოს სსრ კულტურის დღეებთან“ დაკავშირებით.

ამ შესანიშნავი ანსამბლის თვრამეტივე კონცერტს, რომლებიც გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ბევრ ქალაქში, ყოველთვის ბრწყინვალე წარმატება ჰქონდა. მაყურებლები და თეატრალური რეცენზენტები უაღრესად დიდ შეფასებას აძლევდნენ ქართველ მსახიობთა საშემსრულებლო ოსტატობას.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ

ᲞᲔᲜᲢᲐᲒᲝᲜᲘ ᲨᲔᲛᲬᲝᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲘᲓᲐᲜ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲗᲐ ᲗᲕᲘᲗᲜᲔᲑᲣᲠᲐᲓ ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲣᲜᲘᲡᲢᲘᲠᲘᲡᲑᲘᲡ ᲨᲠᲘᲗ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲖᲗᲘᲗ „ᲣᲝᲚ-ᲡᲢᲠᲘᲢ ᲯᲣᲠᲜᲐᲚᲘ“ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ, ᲛᲘᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ 56.000 ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲣᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ. ᲐᲛᲓᲠᲐᲛᲐᲓ ᲙᲘ ᲞᲝᲞᲔᲚᲓᲘᲪᲘᲣᲠᲐᲓ 500 ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ ᲑᲐᲠᲒᲘᲡ ᲧᲐᲖᲐᲠᲛᲘᲗᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲑᲐᲜᲐᲯᲐᲒᲘᲓᲐᲜ.

— ᲛᲘᲗ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲛᲘᲘᲓᲐᲜ ᲑᲐᲠᲑᲘᲐᲜ...

—ᲐᲮ ᲙᲘ ᲘᲔᲠᲘᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲖᲔ ᲛᲝᲛᲐᲯᲕᲗ...

ნახ. ი. ᲥᲝᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

«ᲐᲞᲝᲚᲝᲜ-12» ᲛᲗᲕᲐᲠᲔ — ᲓᲔᲓᲐᲛᲘ�წᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 21 ნოემბერი. (საკდესი). „ᲐᲞᲝᲚᲝᲜ-12“ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲑᲝᲛᲐᲚᲓᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲓᲐ ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲗᲕᲐᲠᲔᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲛᲑᲘᲢᲐᲖᲔ.

დაახლოებით დილის 8 საათზე მოსკოვის დროით კოსმონავტებმა რ. გორდონმა, ჩ. კონრადმა და ა. ბინმა გაიღვიძეს ხუთი საათის ძილის შემდეგ — ვიდაზე 8 საათით ადრე, რათა დაემთავრებინათ ეკიპაჟის ნაკვეთურის გაწმენდა მთვარის მტვრისაგან, რომელიც ჩ. კონრადსა და ა. ბინს მოპყავთ მთვარის კაბინის ასაფრენი საფეხურიდან, და მომზადებულიყვნენ მთვარის ზედაპირის ფოტოგრაფირებისათვის.

საათნახევრის შემდეგ კოსმონავტებმა მოკლე ხანით ჩართეს ხომალდის სამარშო ძრავა ხელოვნეცენტრული ორბიტის კორექციისათვის და იმისათვის, რომ უფრო ხელსაყრელი პირობები შეექმნათ სურათების გადასაღებად. „ᲐᲞᲝᲚᲝᲜ-12“ გადავიდა ელიფსურ ორბიტაზე, რომლის მინიმალური სიმაღლეა დაახლოებით 105 კილომეტრი მთვარის ზედაპირიდან.

დღის განმავლობაში კოსმონავტები იღებდნენ მთვარის რელიეფის სურათებს და აწყობდნენ სანავიგაციო ექსპერიმენტებს მთვარის ორიენტაციის გამოყენებით.

დღეს დაახლოებით შუაღამისას, როცა ხომალდი მთვარის უხილავ მხარეზე იქნება, კოსმონავტები ოროიდე წუთით ჩართავენ მარშს ძრავას, რათა „ᲐᲞᲝᲚᲝᲜ-12“ გადაიყვანონ დედამიწისაკენ დასაბრუნებელ ტრასაზე.

მეცნიერებმა განაცხადეს, რომ სამეცნიერო ხელსაწყოები, რომლებიც ჩ. კონრადმა და ა. ბინმა მთვარეზე დადგეს, ნორმალურად მუშაობენ და დედამიწაზე გადმოსცემენ მონაცემებს.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 22 ნოემბერი. (საკდესი). კოსმოსური ხომალდი „ᲐᲞᲝᲚᲝᲜ-12“, რომელშიც ახლა არის სამი კოსმონავტი, ფრენის მერვე დღე-ღამეს მთვარე-დედამიწის ტრასაზე იმყოფება.

გუშინ დაახლოებით შუაღამისას 45-ე გარშემოვლის დროს ხელოვნეცენტრულ ორბიტაზე ხომალდის ძირითადი ბლოკის ეკიპაჟმა ჩართო სამარშო ძრავა დედამიწისაკენ ფრენის ტრაექტორიაზე ამ ორბიტიდან გაფრენისათვის. ეს მანევრი შესრულდა, როცა კოსმოსური ხომალდი იმყოფებოდა მთვარის უხილავ მხარეზე.

დედამიწისაკენ ფრენის ტრაექტორიაზე ხომალდის გასვლის შემდეგ კოსმონავტებმა მოინყვეს მორიგი სატელევიზიო სეანსი. სეანსი მათ რამდენადმე უფრო ადრე დაიწყეს, ვიდრე გათვალისწინებული იყო, რათა ჰქონოდათ უკეთესი შესაძლებლობა ეჩვენებინათ მთვარე, სანამ ხომალდი დიდ მანძილით დაშორდებოდა. სეანსის დასაწყისში მანძილი მთვარიდან დაახლოებით 1500 კილომეტრს შეადგენდა. კოსმონავტებმა ტელემაყურებლებს გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებანი, თუ როგორ იცავდნენ წესრიგს ეკიპაჟის კაბინაში, სადაც საგნებს აქვთ „ამოტივტივების“ ტენდენცია. ერთერთმა კოსმონავტმა თქვა: „ხანდახან ეძიებ რაღაც საგანს საკარძლის ქვეშ, ის კი შენს ყურთან ამოჩნდება“. კოსმონავტებმა მოაწყეს ავრეთვე მთვარის მაღალი განდის უბნების ფოტოგრაფირება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს რუკის შესადგენად.

ჰიუსტონის (ტეხასის „შტატი) საკონტროლო ცენტრმა ნება დართო კოსმონავტებს გაეღიდებინათ ძილის პერიოდი 10 საათამდე, მაგრამ მათ ვერ ისარგებლეს ამ ნებართვით, რადგან მეტად აგზნებული იყვნენ და დიდხანს ბჭობდნენ თავიანთი ფრენისა და მთვარეზე ყოფნის პერიპეტიებზე.

მათ ავრეთვე გადმოსცეს, რომ მთვარეზე სიარულისას სრულიად არ დალლიათ ფეხები. პრაქტიკულად მათ არ შეეძლოთ ნორმალურად სიარული და სულ ხტუნავდნენ. და ეს მეთოდი ყველაზე მიზანშეწონილად მიაჩნიათ. მაგრამ ფრენის სამედიცინო ხელმძღვანელმა დოქტორმა ბერიმ განაცხადა, რომ სპეციალისტთა წინასწარი დასკვნის თანახმად, კოსმონავტები მომავალში, ალბათ, მთვარეზე 6 საათზე მეტს ვერ „ფეხერნებენ“. კონრადსა და ბინს მთვარეზე გასვლის დროს მეტად მაღალი პულსი ჰქონდათ. მაგალითად, მეორე გასვლისას კონრადის პულსის ცემა წუთში 170-ს აღწევდა. ამასთანავე კოსმონავტებს ძალიან სწყურდათ.

დღეს ნასადილევს გათვალისწინებულია პირველი კორექცია მთვარე-დედამიწის ტრასაზე, მაგრამ, შესაძლოა, უარი თქვან ამაზე, გარდა ამისა, გათვალისწინებულია სანავიგაციო დაკვირვებათა მოწყობა.

24 ნოემბერს სამოას კუნძულებთან „ᲐᲞᲝᲚᲝᲜ-12“-ის დაჯდომის გაანგარიშებულ რაიონში გავიდა საძიებო-საშველი ჯგუფის ფლაგმანი ავიამზიდი „ᲰᲝᲠᲜᲢᲘ“.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ

ᲙᲣᲑᲐ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲘᲣᲒᲘᲚᲔᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ, 21 ნოემბერი. (საკდესი). ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით ლონისძიებათა გეგმა შეიმუშავა კუბის მშრომელთა პროფცენტრმა. გეგმა ითვალისწინებს „ლენინური შეკითხვების“ მოწყობას საწარმოებსა და დაწესებულებებში, კინოფილმების ჩვენებას, გამოფენების მოწყობას, ლენინური სტენდების გაფორმებას.

ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲘ ᲐᲠ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ

ᲐᲛᲐᲜᲘ, 20 ნოემბერი. (საკდესი). ისრაელი აგრესორები არ წყვეტენ პროვოკაციებს მეზობელი იორდანიის წინააღმდეგ.

როგორც სამხედრო სარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა ამანში, ისრაელთა პატრული გუშინ საღამოს შეეცადა გადასულიყო მდინარე იორდანის აღმოსავლეთ ნაპირზე მეფე ჰუსეინის ხიდის რაიონში, მაგრამ იორდანიის ჯარების ცეცხლმა შეაჩერა. რამდენიმე ხნის შემდეგ ოკუპანტებმა საარტილერიო ცეცხლი დაუშინეს მეფე ჰუსეინის ხიდის აღმოსავლეთით მდებარე რაიონს.

ᲠᲐᲙᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲛᲬᲧᲝᲑᲜᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 21 ნოემბერი. (საკდესი). მიუხედავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალ ურ ი ასამბლეის რეზოლუციისა, რომელიც მოუწოდებს განიარაღებულ ეკონომიური სანქციები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წინააღმდეგ, ინგლისი აფართოებს ვაჭრობას ფორსტერის რასისტულ რეჟიმთან.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲨᲘ დამთავრდა პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის საზეიმო სამეცნიერო სესია. სესიის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებანი იმ მიღწევათა შესახებ, რომლებიც პოლონელმა მეცნიერებმა მოიპოვეს სახალხო ხელისუფლების 25 წლის მანძილზე, განიხილეს თანამედროვე მეცნიერების როლი ქვეყნის საზოგადოებრივ და ეკონომიურ ცხოვრებაში.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა აკადემიის პრეზიდენტმა პროფესორმა ი. გროშკოვსკიმ. მან თქვა: ჩვენ უფრო მეტად უნდა მივიღოთ მონაწილეობა მატერიალური დოკუმენტების წარმოების ინტენსიფიკაციაში. ჩვენ ამას ვახვიზორაციელენი სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად მეცნიერების განვითარების, მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროებისათვის.

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საბჭომ მიიღო დადგენილება ადგილობრივი მრეწველობის შემდგომი განვითარების შესახებ. ამჟამად ადგილობრივ მრეწველობაში 1000-ზე მეტი სახელმწიფო საწარმო და წვრილი მრეწველობისა და ხელოსნური წარმოების 2000-ზე მეტი კოოპერატივი.

დადგენილებით განსაზღვრულია ადგილობრივი მრეწველობის შემდეგი ამოცანები: დაეხმარონ სოფლის მეურნეობასა და ადგილობრივი წარმოების სხვა დარგებს,

ირაკლი აბაშიძის დაბადების 60 წლისთავი

ვერაფერს ქვეყნად ვერ შეავლებ, ცხოვრების ყველა ზვირთში ვცურავ!



ირაკლი აბაშიძე ეკუთვნის თანამედროვე ქართული პოეზიის უხირველეს ოსტატთა რიცხვს, სიტყვის მაღალნიჭიერ ხელოვანთა იმ პლეადას, რომელიც თავისი ერთობლივი დაუცხრომელი შემოქმედებითი შრომით ამდიდრებს და ამრავალფეროვანებს ჩვენი ეროვნული კულტურის საგანძურს, დრისეულ ადგილს უმკვიდრებს ქართულ ლექსს თანამედროვე საკაცობრიო პოეტურ კულტურაში.

ირაკლი აბაშიძის შემოქმედება პოეზიის მაღალი იდეურობისა და ჭეშმარიტი ხალხურობის შეხანშნავი ნიმუშია, დაუცხრომელი ნოვატორული ძიებისა და მიგნების, მაღალი პროფესიული კულტურის ამვიანი მაგალითია. იგი მთლიანად გამსჭვალულია თანამედროვეობის სუნთქვით, ჩვენი დროის იდეური და მორალური ატმოსფეროთი. თავისი პოეტური მოღვაწეობითაც და მოქალაქეობრივი ცხოვრებითაც ირაკლი აბაშიძე სისხლხორცეულად და განუყოფლად არის დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან, ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებთან, ახალი სამყაროს მშენებლობის ყოველდღიურობასთან. როგორც ჩვენი დიდი წინაპრების და მასწავლებლების — ჩვენი კლასიკური მწერლობის კორიფეების, ირაკლი აბაშიძის შემოქმედებითი ცხოვრებაც დაკავშირებულია მრავალმხრივ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან. იგი მრავალი წლის მანძილზე მეთაურობდა საქართველოს მწერალთა კავშირს, მონაწილეობს საბჭოთა კავშირის სამწერლო ორგანიზაციის სელმძღვანელობაში, არჩეულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. იგი არის პირველი ქართული ენციკლოპედიის თავადური რედაქტორი, იგი თავმჯდომარეა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიისა.

ყოველივე ეს იმას მოასწავებს, რომ პოეტი ყოველდღიურად ტრიალებს ცხოვრების შუაგულში, ცოცხლობს ხალხის სასიცოცხლო ინტერესებით, მისი სულიერი მოთხოვნებითა და მისწრაფებებით. სწორედ აქედან წარმოდგება ირაკლი აბაშიძის პოეზიის ცხოვრებისეული სიმართლე და მაზნებარება, მისი ჭეშმარიტი თანამედროვეობა ამ ცნების უაღრესად ფართო და ყოვლისმომცველი გაგებით.

თავისი პოეტური სიჭაბუკის ხანაში ირაკლი აბაშიძე დაწერა ორმა აზრით გამსჭვალული და ჭეშმარიტი შთაგონებით აღბეჭდილი ლექსი „კოლხეთის საგანძური“. სამწერლო მოღვაწეობის დიდ სარბიელზე ფეხის შედგმისთანავე ამ ლექსით ახალგაზრდა პოეტმა ნათლად და დამაწუნებელად გამოსცა არა მარტო საკუთარი შემოქმედებითი ცხოვრების, არამედ მთელი თანამედროვე პოეზიის ძირითადი აზრი და შინაარსი, მისი სისხლხორცეული „კავშირი დროების სუნთქვასთან, ახალი სამყაროს მშენებლობის ეპოქასთან, ეპოქის გმირის მდიდარ და კეთილშობილურ სულიერ სამყაროსთან.

„ძველ საგანძურებს ჭონდეთ
შშვიდობა,
ახალ განძებით ვარ მოხიბლული:
ჩემს გონებას და ლექსს ეპყრობა
ცადავარდნილი ხე კოლხიდური.

ჩვენი საუკუნის ოცდაანი და ოცდაათიანი წლების მიჯნაზე დაიწყო ირაკლი აბაშიძის პოეტური ცხოვრება და მის პირველსავე ლექსებში მკაფიოდ გამოისახება ახალი სამყაროს მშენებლობის ჯანსაღ ატმოსფეროში აღზრდილი ახალგაზრდა ადამიანის შემმეცნებელი ბუნება.

ჩვენი დიადი დროების მიერ გადარჩენილი, ცხოვრების ნაოლად სარბიელზე გამოყვანილი, ქვეყნიერების გარდამქმნელი დიადი საქმეებისათვის მოწოდებული ახალი თაობის სულიერ ზრახვათა გამომთქმელი „უიხო ბალობა“ შემოტანა ირაკლი აბაშიძემ ქართულ პოეზიაში და იმთავითვე მისი წერილი, მკაფიოდ თვითმყოფი პოეტური ხმა, მისი სუფთა, ვაჟკაცური ინტონაცია ერთბამად მისწვდა მკითხველის გულის სიღრმეს.

„უკვე თავის შემოქმედებითი ცხოვრების ამ ადრეულ პერიოდში. ირაკლი აბაშიძე იჩენს მიდრეკილებას პოეტური ინტერესების გაფართოებისა და მხატვრული მეტყველების საშუალებათა მრავალფეროვნებისაკენ. პოეტის ნამდვილი შემოქმედებითი დაგვაკაცების ყველაზე მეტყველ ნიმუშს ამ წლებში წარმოადგენდა განკურობილი სიუჟეტური ლექსი „წულუკიძის სიკვდილი“, 1905 წლის რევოლუციის მგზნებარე დღეების ცხოვრებისეული სიმართლე პირველ ყოვლისა იმით არის გამოწვეული, რომ ისინი პოეტის პირადი ბიოგრაფიის წიაღში აღმოცენდნენ, როგორც მის მიერ ღრმად ნაგრძნობის და განცდილის ცხოველი ანარეკლი. ეს ლექსები შედგება იმ მძაფრი დაბაბული სულიერი ვითარებისა, იმ კეთილშობილური მღელვარებისა, რომელიც განიცადა პოეტმა პალესტინაში, ქართულ ჯვარის მონასტერში, სადაც იგი გამოჩენილ ქართველ ფილოლოგებთან ალაკი მანძილზა და ეიორგი წერეთელთან ერთად იმყოფებოდა შოთა რუსთაველის ცხოვრების უკანასკნელი წლების მასალათა მოკვლევისა და წესწავლის მიზნით.

ლექსების ციკლში „პალესტინა, პალესტინა!“ პოეტმა უფრო დიდი და ღრმად მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ამოცანა დისახა. მან განიზრახა წარმოედგინა და პოეტურ სახეებში წარმოესახა სამშობლოდან გადასვლილი და უცხოეთში გარდასაცვლელად განწირული გენიალური მოხეცის სულიერი სამყარო, მისი ფიქრების, აზრებისა და განცდების მთელი სიმდიდრე და სიღრმე „გულით ცხოვრებისეული სიმართლე ამ ნაწარმოები დღემდე რჩება ქართული პოეზიის ერთ-ერთ საუკეთესო ქმნილებად ჩვენი ხალხის გამთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიის თვალში.

ხალხის სულიერ ცხოვრებასთან ასე მრავალმხრივი და განუყოფელი კავშირით გამდიდრებული შეეგება პოეტი ჩვენი სამშობლოს ისტორიის ისეთ მძაფრ და მრისხანე ხანას, როგორიც იყო დიდი სამამულო ომის წლები.

კაცობრიობის ისტორიაში სწორუპოვრად გმირული ბრძოლის ქარცეცხლში შესული საბჭოთა ხალხის სულიერი რაინდობის გამომსატვალი მრავალი უჭკნობი ლირიკული ქმნილებით გაამდიდრა იმ წლებში ირაკლი აბაშიძემ ქართული პოეზიის საგანძური.

ომის ქარცეცხლიდან გამარჯვებულად გამოსული საბჭოთა ხალხის დიადი შემოქმედებითი ცხოვრების, მისი ნათელი აზრებისა და გრძნობების მეტყველად გადმომცემი ცხოველმყოფელი სურათები დასტატა პოეტმა სამ ვრცელ ლირიკულ ციკლში: „ომნადირის ღამეები“, „აყვავის გული“, „სიმღერა მკის დროს“.

ეს ციკლები საუკეთესო მაგალითია პოეტური გამომსახველობის საშუალებათა და მხატვრული ფრაზის მელოდიური ბუნების ორგანული ერთიანობისა ლექსის ღრმა აზრობრივ შინაარსთან. ამაში მდგომარეობს ირაკლი აბაშიძის პოეტური ნიჭიერების ძირითადი ღირსება, რომელმაც განსაკუთრებით სრული გამოვლინება ჰპოვა ლექსების მომდევნო ციკლში „რუსთველის ნაკვალევზე“.

ირაკლი აბაშიძის პოეტური შთაგონების სრული სიმწიფისა და დაგვაკაცების შესანიშნავ ნაყოფს წარმოადგენს ლექსების ციკლი „პალესტინა, პალესტინა!“, რომელიც მკითხველთა ფართო წრეებისა, ჩვენი სამწერლო საზოგადოებრიობისა და ლიტერატურული კრიტიკის მიერ ერთხმად არის აღიარებული უკანასკნელი წლების ქართული პოეზიის საუკეთესო მიღწევად და მთელი მრავალეროვნული საბჭოთა პოეტური კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოხვეურად.

ამ ლექსების მომხიბვლელი სიწრფელე და უშუალობა, მათი რეალიზმი, სწყურდა ჩემს შორეულ მომავალს,— მიმართავს პოეტი რუსთაველს თავისა წიგნის ეპიგრაფულად ფაქიზიურ წინასიტყვაობაში, — წარმოედგინა, რას განიცდიდი და ფიქრობდი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში. მაშ ეს „ხმები“ ისე ჩაუთვალე მას, თითქოს მაინდამაც გაეგონოს იგი პალესტინის ქართულ ჯვარის მონასტერში, შუს უკანასკნელ თავშესაფარში, შენი დაკარვიდან შვიდასი წლის შემდეგ“.

ეს „ხმები“, პოეტის ფანტაზიით მოსმენილი და ლექსად ამეტყველებული მონოლოგები რუსთაველისა შეადგენენ ამ ლირიკული ციკლის ძირითად ნაწილს. ეს „ხმები“ თითქოს მოესმა პოეტს პალესტინის ჯვარის მონასტრის გალავანთან, თვით ჯვარის მონასტერში, ზეთისხილის ბაღში, მონასტრის საპრეზიდიუმოსთან, თვთრ სენაკში, კატამონთან, ჯვარის მონასტრის ბინდში. ეს შვიდი ხმა — მონოლოგი, თითქოს მოსუცი რუსთაველის მიერ წარმოთქმული უკანასკნელი აღსარებანი გადმოგვცემენ იმ ამაღლებულ ფიქრებსა და განცდებს, რომლებითაც მგოსანი ეთხოვებოდა ამქვეყნიურ ცხოვრებას და უურტეინველად გადადიოდა თავის მარადიულ უკდავებაში.

ციკლის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსს, მის ნამდვილ მშვენებას წარმოადგენს მშობლიური ენისადმი მიძღვნილი მგზნებარე ქიმნი — „ხმა კატამონთან“. შოთა რუსთაველს, რომლის ენიალურ ქმნილებებიც ყველაზე სრულყოფილი სახით გამოვლინდა ქართული ენის სიმდიდრე და ძალა, და რომელმაც თავის მხრივ განუზომლად გაადიდოდა ამ ენის ბრწყინვალებას, ამ ენის გამომსახველობითი შესაძლებლობანი, სრული უფლება ჰქონდა ეთქვა:

ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო
ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო
მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და
კირთა,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და
შენ, ერთი შემრჩა სამარის
პირთან.

ქართულ კლასიკურ მწერლობაშიც და თანამედროვე პოეზიაშიც არაერთხელ შთაგონებულად უმღერიათ მშობლიური ენისადმი, არაერთხელ დამარწმუნებლად შეუქმიათ ქართული ენის ამვიდი სიმდიდრე, მოქნილობა, სიუხვე, კეთილხმოვანება, მარად დაუბერებელი მისი ბუნება. მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღემდე არავის უთქვამს ჩვენი ენის სადიდებელი ასეთი ამაღლებული და აღმავრთოვანებული სიტყვა, როგორიც ირაკლი აბაშიძემ მოხუც რუსთაველს ათქმევინა:

ქვეყნელში მძრომო,
ცაში მფრენელო,
ხან ფუნჯო ჩემო, ხან
საბრეთელო
შენ, აკვნის ბიმნო,
ცრემლო სამარის...
იბერის ენავ.
ენავ თამარის...
შენ, ნიჭო ჩემო.
სრბოლავ და ფრენავ,
დედაო ენავ, დედაო ენავ.

ენა ხალხის შემოქმედებითი ენერგიის უძვირფასესი მონაპოვარია, ეროვნების უპირველესი, ყველაზე ადმძლე და წარუშლელი ნიშანთვისებაა. მრავალჯერ სისხლის ნიაღვრით დაფარულა საქართველოს მიწა-წყალი, ხანძარს ნაუნთქამს მისი ყველა სიმდიდრე, ბევრ-ბევრჯერ ბევრი ენა ენა ენა, მაგრამ ვერავითარ ძალას ვერ მოუღია ქართული ენა, ვერ შეუჩერებია მისი მარადიული განვითარება და სრულყოფა, ვერ დაუხშია მისი ელვარება, ამიტომაც ეღირს ჭეშმარიტი წინასწარმეტყველური ძალით რუსთაველის პირით წარმოთქმული სიტყვები, სიტყვები ენის უძლეველობისა და უკდავების შესახებ.

ყოველ ნერგს იქნებ დაატყდეს
მეხი,
ყოველ ძეგლს იქნებ დაედგას
ფეხი,
მხოლოდ შენ, უმეცნობს,
შენ, ხატად ქცეულს,
რა ღრო, რა დანცემს
შენს უკდავ სხეულს.

„პალესტინა — პალესტინა!“ პოეტური შემოქმედების ინტელექტუალური და ემოციური, გონებისშეური და გრძნობადი საწყისების ერთიანობის, პოეტური სურათოვნებისა და ამღერების განუყოფლობის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. იგი არა მარტო პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ახალი ბრწყინვალე ფურცელია, არამედ მთელი თანამედროვე ქართული პოეზიის, დღეგანდელი ჩვენი მხატვრული კულტურის ძვირფასი შენაძენია.

ჩვენი საზოგადოებრიობა ერთსულოვანი კმაყოფილებით შეხვდა ლექსების ამ ციკლის გამო ირაკლი აბაშიძისადმი მთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის მინიჭებას. „პალესტინა, პალესტინა“ სრულად არის თარგმნილი და გამოცემული რუსულ და უკრაინულ ენებზე, ამიტომ ითარგმნება ჩვენი სამშობლოს ხალხთა სხვა მრავალ ენაზე.

მრავალი ბრწყინვალე ნაწარმოები გაამდიდრა ირაკლი აბაშიძემ ქართული საბავშვო პოეზია. იგი პოეტური თარგმანის ხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატია. მის კალამს ეკუთვნის მხატვრული ნარკვევების, ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილების რამდენიმე საინტერესო კრებული.

თავისი დაბადების 60 წლისთავს პოეტი ეგებება შემოქმედებითი ძალღონით აღსავსე, შთაგონებული ახალი პოეტური განწრახვებით, აღტურფილი დიდი ცხოვრებისეული და პოეტური გამოცდილებით.

მადლიერი ქართული ხალხი, ჭეშმარიტი პოეზიის მოყვარულები მთელ ჩვენს მრავალეროვანს სამშობლოში და მისი საზღვრების მიღმაც მხურვალედ მიეალამენიან და მიულოცავენ დღეს ჩვენს სახელოვან იუბილარს და გულითადად უსურვებენ ახალ წარმატებებს მისი პოეტური და მოქალაქეობრივი მოღვაწეობის დიდ გზაზე.

ალიარება და სიყვარული

● **მოხარული** ვარ, რომ შესაძლებლობა მაქვს გულით მივეულოცო და მივესალმო ძვირფას მეგობარს, ირაკლი აბაშიძეს, რომელიც თავის 60 წლისთავს ხვდება ტალანტის გაფურჩქვნის პერიოდში. მივესალმები მას როგორც ბამოჩენილ პოეტს, მშვენიერი საქართველოს თანამონებულ მომღერალს, მშობლიური ხალხისა და მთელი საბჭოთა სამშობლოს პატრიოტს, როგორც მეცნიერ-აკადემიკოსს, მოქალაქეს, კომუნიზმისათვის მებრძოლს.

განსაკუთრებით მსურს ვეხებოდეს ირაკლი აბაშიძეს როგორც კოლეგა დეპუტატს, რომელიც ღირსეულად წარმოადგენს საბჭოთა საქართველოს საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოში.

ვუსურვებ იუბილარს ჯანმრთელობას, მხნეობას, სიხარულს, რომ კიდევ მრავალ წელს გაგვახაროს ახალ-ახალი შემოქმედებითი გამარჯვებებით, თავისი შრომისა და ნიჭის ნაყოფით.

ი. ბალეცკისი,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე.

● **ძვირფასო** მეგობარო, ირაკლი ბესარიონის-ძე!

გულმხურვალედ მოგესალმებით თქვენი ღირსშესანიშნავი იუბილეს დღეს, გისურვებთ ახალ წარმატებებს შრომაში და ბედნიერებას. ჩემთვის მარად სასიხარულოა მოგონება თქვენთან ამხანაგური შეხვედრებისა, რადგან მათში ვხედავ მხურვალე გრძნობებსა და მისწრაფებებს, რომ მუდამ მტკიცედებოდეს ჩვენი საყვარელი ხალხების მეგობრობა.

ბედნიერი და გილოცავ, სახელოვანო ამხანაგო!

კონსტანტინე ფედინი.

● **დაუშრეტელია** პოეტური ძალა ქართული მიწისა. მდიდარია იგი ათასგვარი ტალანტებით. და აი დღეს ჩვენ ვესალმებით ღირსშესანიშნავ იუბილეს — საბჭოთა საქართველოს გამოჩენილი პოეტის ირაკლი აბაშიძის დაბადების მესამოცე წლისთავს. ტალანტი მისი იზრდებოდა და ვითარდებოდა სოციალისტური საქართველოს წინსვლასთან ერთად. ირაკლი აბაშიძემ ახალი ფურცელი შეიტანა დიდებული ქართული ლიტერატურის ისტორიაში და საერთოდ, საბჭოთა პოეზიაში.

იგი უმღერის სიცოცხლეს, მან დაგვიხატა შრომითი და საბრძოლო გმირობა საბჭოთა ადამიანისა — სოციალიზმის მშენებლისა, ფაშიზმის დამთრგუნველისა, კოსმოსის დამპყრობისა.

ამასთან ერთად მან სიახლე შეიტანა რუსთაველის თემატიკაში. მისი ციკლი „რუსთაველის ნაკვალევზე“ დიდი, მნიშვნელოვანი პოეტური ნაწარმოებია, რომელმაც დაამშვენა პოეტის იუბილეი.

ირაკლი აბაშიძის ნიჭი და შესაძლებლობა, რომ იტყვიან, სწორედ ახლა იფურჩქნება. ვუსურვოთ მას ახალი მიღწევები, ახალი პოეტური ძიებანი ჩვენი საბჭოთა პოეზიის საკეთილდღეოდ, ვუსურვოთ ჯანმრთელობა და ბედნიერება.

ნიკოლოზ ტიხონოვი.

● **ძვირფასო.** ძმაო ირაკლი!

ათი ათასი მეტრის სიმაღლეზე გსვამთ შენი სიყვარულის ალიონ ბრძოლა, როგორც უფროს ძმას ბალიკაცად დამადების დღეს, გეხვევით და გკოცნით, ეკოცხლე, იმხიარულე.

შენი რასულ გამზათოვი,
დავით კუგულტინოვი.
ოვითმფრინავის ბორტიდან.

● **მსოფლიო** მნიშვნელობის დიდ ქართულ პოეზიაში, რომლის მშვენებაა რუსთაველი და ბარათაშვილი, არცთუ ისე ადვილია მნიშვნელოვანი ფიგურა გახდე. მაგრამ ირაკლი აბაშიძე, თავისი გამორჩეული ნიჭის წყალობით ულამაზესი ქართული ლირიკის ერთ-ერთ თვალსაჩინო ოსტატად ჩამოყალიბდა და საბჭოთა ლიტერატურის ცნობილი მოღვაწე გახდა.

ჩემთვის ირაკლი აბაშიძე ძვირფასია იმიტომ, რომ იგი არასოდეს არ ეშურებოდა იაფფასიან პოპულარობას, მის ვაკკაცურ ლექსებში არ არის ყალბი სამკაულები, რიტორიკა. აქ არის პოეტური აზროვნების სიღრმე, შთამბეჭდავი დრამატიზმი, ემოციურობა, ნათელი სახეები. მან უარი თქვა ყალბ ეგზოტიკაზე და სამგიერად გვაზიარა ცხოვრებისეულ სიმართლეს. თავის დიდებულ ლექსებში რუსთაველზე ირაკლი აბაშიძემ მიაღწია ჭეშმარიტ ტრაგიზმს, სადაც ჩვენ გვესმის ხმა ისტორიისა და ბედისწერისა. მის ლექსებში ვხედავთ საქართველოს განუმეორებელ სახეს.

მე მიყვარს ეს დიდებული კაკაცისელი! და მისი იუბილეს დღეს მინდა ვუსურვო სახელოვან საბჭოთა პოეტს, შესანიშნავ ოსტატს კიდევ მრავალი წლის დიდი შემოქმედებითი აღმაფრენა.

კაისინ ყულიევი.

დეპეშა რომიდან

ევროპის მწერალთა გაერთიანების წევრთა და პირადად ჩვენ სახელით გამოჩენილ ქართველ პოეტს ირაკლი აბაშიძეს მთელი გულით ვუსურვებ ხანგრძლივ ჯანმრთელობას და ახალ საუკეთესო ნაწარმოებებს.

ჯუზეპე უნგარეტი,
ევროპის მწერალთა გაერთიანების პრეზიდენტი,
ჯანკარლო ვიგორელი,
ევროპის მწერალთა გაერთიანების გენერალური მდივანი.

ახალ განძებით ვარ მოხიბლული

ბესარიონ ფლენტი

ორმოცდაათ წლის წინათ ჩემს ღარიბულ დარბაზში, ეიფარიძის ქუჩაზე, მეწვნა ერთი ახოვანი, ლამაზი ვაჟკაცი. მე ფიზიონომისტად მთელიან ზოგნი. მომეტებულ უურადღებას ვაქცევ სახესა და აღნაგობას. ძლიერ სანდომიანი სახე ჰქონდა ამ ბაბუკს, მოვეალერსე, ხანოლის არაყი შევთავაზე. მან უბიდან ამოიღო რამდენიმე ლექსი და წამიკითხა. ამ ლექსების თემა იყო: გაბაფხული, სიყვარული ქალისა და მამულისა. ეს ბაბუკი აღმოჩნდა ირაკლი აბაშიძე. ამის შემდეგ ბარე ორი ოცეოდე წელი ვიმეგობრეთ და ვიბრძოლეთ. ცნობილია — „რაპპის“ ეპოქაში მე ვავაგადი იმ კაცს, რომელიც ხატეგარამოწვდილი მიუმწყვდევეთ შუბოსნებს და შეშფოთას უპირებენ.

ბევრს მოხვედრია ჩემი გესლიანი სიტყვა. ერთმა მეგობარმა მითხრა, კონსტანტინე, შენ კარგი ვაჟკაცი ხარ, მაგრამ გესლიანი ენა გაქვსო.

მე ვუპასუხე, ილია ჭავჭავაძეს დიდი მწერალის სახელი და საგურამოს მამული უბოძა ღმერთმა, გრიგოლ ორბელიანს დიდი პოეტური ნიჭი, ხოლო მე გესლიანი ენა მომიგია მეთქი.

ჩემმა მეგობარმა ირაკლიმ დიდი ენერგია შეალია მწერალთა კავშირს, მან თვალხაჩინო ამაგი დასდო საქართველოს მთავრობის შემწეობით მოწყობილ რუსთაველის იუბილეს.

მე არ შევეხები მის პოეზიას, რადგან ირაკლი აბაშიძის შემოქმედებას ვუძღვნი დიდი სიფრფელით დაწერილი ნარკვევი.

ირაკლი აბაშიძე მრავალი წლის მანძილზე ნამდვილ ძმობას მიწევდა. ასეთი თავგამეტებული და ერთგული მეგობრები რომ არ აღმოჩენოდა, ალბათ ახლა წასული ვიქნებოდი „ალა პატრეს“.

ირაკლი აბაშიძის 60 წელი შეუსრულდა. რა სწრაფად წავიდნენ წლები!

შორს ჩვენგან შინი, ჩვენ კიდევ დიდხანს ვიბრძოლებთ ქართული პოეზიის, ქართული რომანის, საერთოდ ქართული კულტურის აღმავლობისათვის.

ირაკლი აბაშიძე ამჟამად ხელმძღვანელობს დიდზე დიდ ეროვნულ საქმეს — ქართული ენციკლოპედიის შექმნას.

ვუსურვოთ მას მრავალი წარმატება, როგორიც ამ შემთხვევაში, ისე მის შესანიშნავ პოეზიასა და ოჯახურ ცხოვრებაში.

რა სწრაფად წავიდნენ წლები!

კონსტანტინე გამსახურდია

ირაკლის სახელი და საგურამოს მამული უბოძა ღმერთმა, გრიგოლ ორბელიანს დიდი პოეტური ნიჭი, ხოლო მე გესლიანი ენა მომიგია მეთქი.

ჩემმა მეგობარმა ირაკლიმ დიდი ენერგია შეალია მწერალთა კავშირს, მან თვალხაჩინო ამაგი დასდო საქართველოს მთავრობის შემწეობით მოწყობილ რუსთაველის იუბილეს.

დიდი გზა

გრიგოლ აბაშიძე

ირაკლი აბაშიძის სამოცი წლისთავი ქართული საბჭოთა მწერლობის ზეიმია.

სახელოვანი პოეტი აკერ ოთხი ათეული წლის განმავლობაში შთაგონებით უმღერის სამშობლოს დიდებასა და ბედნიერებას, მისი ჭირისა და ლხინის განუყრელი მოზიარეა და მისი სიკეთისათვის მოღვაწეთა პირველ რიგებში დგას.

ბევრი მისი ლექსი ჭეშმარიტი პოეზიის მოყვარულთა მუდმივ თანამგზავრად გახდა, მაგრამ პოეტისათვის უფრო დიდი ჯილდო კიდევ ის არის, რომ ბევრი მათგანი მთელმა ხალხმა იიტაცა, მათში თავისი გულისთქმა ამოიკითხა და თავის საკუთარ ხიმღერებად აქცია.

მწერლის ცხოვრების სამოცი წელი დიდი გზაა. ბევრ პოეტს ასეთ გრძელ გზაზე სუნთქვა აღარ ჰყოფნის, შთაგონება სტოვებს და გზნება აკლდება.

ჩვენს იუბილარს კი მარათონელი მორბენალივით მანძილის სიდიდე ენერგიას უდიდებს, გზნებას მატებს და თავისი სულის ახალ-ახალი ფენების გადმოშლას შთაგონებს. ა. აბაშიძის სამოცწლიანს თუ იმ ძალის მიხედვით გავზომავთ, რომელიც ახლა მის პოეზიას აქვს, პოეტის ასაკი შეადგენდა დაგვესახებინა, იმ შეფდეგ, როცა შთაგონების ცხოველმყოფელობას უდიდესი ელვარებაც თან ახლავს.

თავისი ცხოვრების ერთი მესამედის განმავლობაში ირაკლი აბაშიძე ჩვენი სამწერლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო. მან თავისი შთაგონების ბევრი დრო საზოგადოებრივ საქმეს შესწირა, ჩვენი ლიტერატურის წინსვლასა და ამაღლებას მოანმარა. მისი ეს ღვაწლი პარტიისა და ხელისუფლების მიერ, მთელი ჩვენი ხალხის მიერ ღირსეულად არის დაფასებული.

ჩვენ, ვინც თითქმის მთელი შეგნებული ცხოვრება მის გვერდით გავატარეთ, კარგად გვიცნია მისი პირადი მომხიბვლელობისა და მეგობრული სითბოს ძალა.

ჩვენთვის ერთნაირად ჭეშმარიტი და საყვარელია ირაკლი აბაშიძის პიროვნება და პოეზია.

ამიტომ გვაზარებს მისი ვაჟკაცობის სამოცი წელი და გულწრფელად გვსურს მისი ცხოვრებისა და შთაგონების დიდი გზა არასოდეს არ დასრულებულიყოს!

საბჭოთა მწერლების I ყრილობაზე
მოსკოვი, 1934 წ.

სურათზე: ყრილობის მონაწილე ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი, მარცხნიდან მარჯვნივ — პანტელეიმონ ნინიკავაძე, გიორგი ლეონიძე, პაოლო იაშვილი (პირველი რიგი); მიხეილ ჯავახიშვილი, მალაქია ტორაოშვილი, მარიჯანი (მეორე რიგი); ირაკლი აბაშიძე, ტიციან ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, ლეო ქიაჩელი, ბერონტი ქიკოძე, ბესარიონ ფლენტი (მესამე რიგი).

მეცნიერები ულოცავენ

ძვირფასო ირაკლი!

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი გულითადად გილოცავს შენი ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავ დღეს.

ჩვენ დიდად ვაფასებთ შენს მაღალპოეტურ შემოქმედებას და მეცნიერული სიღრმით აღბეჭდილ ლიტერატურულ საქმიანობას.

გისურვებთ ჯანმრთელობას, სიცოცხლესა და ხანგრძლივ შრომისუნარიანობას ჩვენი ეროვნული კულტურის საკეთილდღეოდ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი.

ბარაქალა, იცოცხლე!

დემნა შენგელაია

ძვირფასო ირაკლი, გილოცავ სამოცი წლის შესრულებას. ახლა შენც ნახავ, რაც არის ეს სამოცი წელიწადი.

იცოცხლე დიდხანს, იყავი ასეთ და ისევ ბედნიერი, შენი ჯერ კიდევ დაუცხრომელი შემოქმედებით.

შენი ღვაწლის ჩამოთვლას რომ ვდგები, სად წავალ! არ შემიძლია, ორიოდე სიტყვა მაინც არ გითხრა. არ შემიძლია შენი მოგზაურობა პალესტინაში არ გავიხსენო. შენ უფრო შორსაც ყოფილხარ: ჩინეთში, ამერიკაში, მაგრამ, შენც იცი, რომ ქართველი კაცისთვის პალესტინაზე შორს არც ერთი ქვეყანა არ ყოფილა და არც იქნება. შოთასაც ეს ეგონა, მე მგონია, ეს მანძილი არც იმ შენს ენციკლოპედიაში ჩაეტევა, რა დალამბერიც უნდა იყო. შენც იცი, მე ერთი გულახდილი და, ალბა არ იყოს, ეჭვიანი კაცი ვარ, რაღაც ნაშეტანი ეიტაციებს, ეგონი, ეგ ლეჭსიკონი და შენი მერანი კი ჭიხვინებს.

გუშინდელ დღესავით მახსოვხარ, ერთი აწყვეული, ხმელი ... ბიჭი, რომ ყოფილ და შორიდან მოწიფეთი აუვლიდ-ჩაუვლიდი მაშინდელ პარნასს, „ნათობის“ რედაქციას. მახსოვს შენი ლამაზი ახალგაზრდობა, შენი ვაჟკაცობა ალსავსე ყმაწვილკაცობა და შენი სტუდენტობა,

შენ ახლაც ისა ხარ, ოღონდ ოდნავ დაოკებული. არა, ის ვინ იყო, რომაო, ეგრეო, ეგრეო, კალაში ბოლოს მაინც ცვდებაო და რა ვიცი კიდევ რა! არა, ბეიერსან, იმან რა იცის, რომ ბებერი ხარისა რქანიკა ხნავენ, და მინდა შენც დიდხანს გიხნას შენი ქვეყნის დიდი საყანე. ეფიარცხოს შენი ქვეყნის ლეკური ცა და ეთესოს თვალეანატა ვარსკვლავები — შენი ლექსები.

ბარაქალა, იცოცხლე!

კომუნისტი

ძვირფასო მკითხველებო!

თუ გინდათ „კომუნისტი“ 1 იანვრიდან მიიღოთ ხელმოსაწერად თქვენს განკარგულებაშია მხოლოდ 3 დღე.

ხელმოწერის უკანასკნელი ვადაა 25 ნოემბერი

საიუბილეოდ

ირ. აბაშიძის დაბადების 60 წლისთავთან

პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძის დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით ჩვენმა მკითხველმა მიიღო პოეტის ორი წიგნი. ერთი მაგალი თბილისში გამოვიდა, ხოლო მეორე — მოსკოვში. გამომცემლობა „მერანის“ მიერ გამოცემულ კრებულში (რედაქტორი კ. კალაძე, მხატვარი ო. ჯიმკარიანი) დაბეჭდილია პოეტის ლექსთა ორი ცნობილი ციკლი „მიახლოება“ და „რუსთაველის ნაკვალევზე“.

„მიახლოება“ — ასე ეწოდება მოსკოვში, „სუდოფეტლენინაია ლიტერატურას“ მიერ გამოცემულ წიგნს (რედაქტორი ვ. ჯალიავილი, მხატვარი დ. გასპარიანი). აქ დაბეჭდილია პოეტური ციკლები „მიახლოება“, „რუსთაველის ნაკვალევზე“, „ალპანის მთამო“ (ძველი ლექსებიდან).

ჩვენი იუბილარი

მეგობრული შარჟი ბ. ფირცხალავასი.

რესპუბლიკის ქალაქებში

ქალაქი-ბაღი — ასე უწოდებენ ჩვენი რესპუბლიკის მშვენებას—სოხუმს. მნახველის თვალს იტაცებს ზამთარ-ზაფხულ მწვანეში ჩაფლული თეთრი, კოპწია სახლები, ლარივით სწორი ქუჩები, ლურჯად მოლივლივე ზღვა, რომლის ტალღებიც ნაზად ელამუნებიან ნაპირს.



სურათზე: ქალაქ სოხუმის ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო ა. ჩარკმიანისა.

ლ. ნ. დიასამიძე



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ტექნიკურმა ინტელიგენციამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაეცვალა მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **ლევან ნიკოლოზის-ძე დიასამიძე.**

ლ. დიასამიძე დაიბადა 1882 წელს თბილისში. 1912 წელს დამთავრა ლოზანის (შვეიცარია) ჰიდროელექტრული ინსტიტუტი და თბილისში დაბრუნების დღიდან მთელ თავის ცოდნას იხმარდა რესპუბლიკისა და დედაქალაქის კომუნალური მეურნეობის განვითარების საქმეს. იგი წლების შანძილზე იყო წყალსადენების ქსელის უფროსი, თბილისის წყალსადენისა და კანალიზაციის მთავარი ინჟინერი, კომუნალური მეურნეობის სამმართველოს მთავარი ინჟინერი. განსაკუთრებით დიდია ლ. დიასამიძის წვლილი 1926-1933 წლებში, ნატახტარის წყალსადენის შექმნაში, რომლის პროექტის ავტორი და მშენებლობის მთავარი ინჟინერი თვითონ იყო.

ლ. დიასამიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე საქართველოს მსხვილი ქალაქების წყლით მომარაგებისა და კანალიზაციის მშენებლობის საქმეში. მაგრამ ამ დიდ საწარმოო-ტექნიკურ საქმიანობასთან ერთად იგი ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო იმათ შორის, ვინც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან პოლიტექნიკური ფაკულტეტი ჩამოაყალიბა. ლ. დიასამიძე ამ ჯერ ასისტენტად მუშაობდა. შემდეგ დოცენტად აირჩიეს, ხოლო 1935 წლიდან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი იყო.

ლ. დიასამიძის ინიციატივით პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 1946 წელს შეიქმნა წყლით მომარაგებისა და კანალიზაციის კათედრა, რომელსაც 1962 წლამდე ხელმძღვანელობდა. ამასთან 1947-1953 წლებში იგი სათავეში ედგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ განყოფილებას.

ლ. დიასამიძის კალამს ეკუთვნის 60 სამეცნიერო შრომა, მათ შორის რამდენიმე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის. ამასთან იგი აქტიურად მოღვაწეობდა საზოგადოებრივ ასპარეზზე, სხვადასხვა დროს იყო საქართველოს სსრ ტექნიკური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატი.

მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში დიდი დამსახურებისათვის ლ. დიასამიძეს მინიჭებული ჰქონდა მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდება. დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

პროფესორ ლ. დიასამიძის — გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადოებრივი მოღვაწის, შესანიშნავი მოქალაქის, გულისხმიერი მეგობრის ნათელი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

ასკარეზოგათა კანონრამ

● **გორკში** დაიწყო სსრ კავშირის პირველობის გათამაშება სამბოში, პირველ დღეს წარმატებით გამოვიდნენ სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონი მოსკოველი დ. რუდმანი, გორელი ა. ქიბროწაშვილი, კიეველი ა. ბონდარენკო. ჩემპიონატი სამ დღეს გაგრძელდება.

● **კლუბში** დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში ქალთა გუნდებისათვის „კარპატის თასზე“. სსრ კავშირის ნაკრებმა უკანასკნელ მატჩში დაამარცხა იუგოსლავიის გუნდი 22:15 და მესამე ადგილი დაიკავა. მთავარი პრიზი მოიპოვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელბურთელებმა.

● **გამოვლინდა ჭადრაკში** მსოფლიოს პირველობის საზონთაშორისო ტურნირის კიდევ ერთი მონაწილე. ეს არის მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი ტუდევ უიტუმენი. მართალია, მან ზონალურ შეჯიბრებაში შიმონ კაგანთან (ისრაელი) ერთად თანაბარი ქულა შეაგროვა, მაგრამ შემდეგ მოიგო მატჩი.

● **გუშინ** პრაღაში გაიმართა საერთაშორისო მატჩი ჰოკეიში. ჩეხოსლოვაკიისა და კანადის ნაკრებ გუნდებს შორის. მეტოქეებმა ოთხ-ოთხი შაიბა გაიტანეს და შეხვედრა ფრედ დაამთავრეს.

● **ბრაზილიაში** მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობის გათამაშება ჭადრაკში. პირველ ტურში უკრაინისა და საქართველოს გუნდების შეხვედრის შედეგია 4,5:0,5 უკრაინელთა სასარგებლოდ. 7 პარტია გადადებულია. მეორე ტურში ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკეები შეხვდნენ ლატვიის გუნდს. წინ არის საქართველოს გუნდი 5,5:2,5. ოთხი პარტია გადადებულია.

ორი მატჩი

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა საერთაშორისო ტურნირი ხელბურთში ვაეთა გუნდებისათვის გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე.

ამ დღის ცენტრალურ ასპარეზობას წარმოადგენდა მსოფლიოს ჩემპიონის ჩეხოსლოვაკიის გუნდისა და სსრ კავშირის ნაკრების შეხვედრა. წარმატება საბჭოთა ხელბურთელებს ხვდათ ანგარიშით 20:18 (9:8).

არანაკლებ საინტერესო იყო სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდისა და თბილისის ნაკრების თამაში. გაიმარჯვეს თბილისელებმა 22:21 (10:11).

ჩემპიონის სტარტი

გუშინ სსრ კავშირის ჩემპიონი კალათბურთში ვაეთა გუნდებს შორის — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი ჩაება საკავშირო პირველობის გათამაშებაში. სტარტზე ცსკა-ს პაექრობა ჰქონდა ალმა-ატის „ლოკომოტივთან“ და გაიმარჯვა 98:78.

დღეს შედგება ორი შეხვედრა. **თბილისის დინამოელებს კუნანაში მატჩი ექნებათ „ყალგორისთან“.** მოსკოვის დინამოელებს — კიევში ადგილობრივი არმიის სასპორტო კლუბის გუნდთან.

ეპოქა

დიდ ფეხბურთს ფინეთში აქვს. ხასიათსაღები ცოტა როდი გვაქვს, მაგრამ სახრუნავიც ბევრია. წელს კიეველთა ჰეგემონია დარღვა. მათი სამგზის ჩემპიონობის შემდეგ გამარჯვების კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე „სპარტაკი“ აკიდა, თავისი ადგილი (მეორე) კი კიეველებს დაუთმო. მესამეზე თბილისის დინამოელები აღმოჩნდნენ.

რა თქმა უნდა, ჩვენი გუნდისათვის არის წინ გადადგმული ნაბიჯი. ამაზე მეტყველებს მეშვიდედან მესამე ადგილზე გადმონაცვლება. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ნაკრების დიდ ბირთვს ჩვენი თანამემამულეები შეადგენენ. მაგრამ ისიც საკითხავია — ნუთუ ასეთი შესანიშნავი შემადგენლობისა და დიდი პოტენციალის გუნდს საკავშირო ჩემპიონატსა და სსრ კავშირის თასის გათამაშებაში გაცილებით უკეთესი შედეგის მოპოვება არ შეეძლო?

როგორც აღვნიშნეთ, ბრინჯაოს პრიზიორობა უთუოდ კარგი საქმეა, მაგრამ აბა გადავიდოთ სატურნირო ცხრილს... თბილისის „დინამო“ ჩემპიონს 10 ქულით ჩამორჩება, ვერცხლის პრიზიორს კი — 6 ქულით. შარშან მეშვიდე ადგილზე მყოფი თბილისელები მეორე პრიზიორს — „სპარტაკს“ 7 ქულით ჩამორჩებოდნენ. ქულათა ასეთი სხვაობა ხომ დამაფიქრებელია.

ახლა გადავიდეთ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან, კონკრეტულ საკითხებზე.

ფეხბურთელის სპორტული ცხოვრება, შეიძლება ითქვას, ხანმოკლეა. მაგრამ ჭეშმარიტი ოსტატი მაინც ასწრებს საკმაო სიხარული მოუტანოს მაყურებელს. რა თქმა უნდა, ჩვენ ყოველნაირად უნდა ვცდილობდეთ გაგახანგრძლივოთ ფეხბურთელების ეს სპორტული ცხოვრება. და თუ მას ხელოვნურად ვამოკლებთ, ნუ დაგვაეჭიდება, რომ დიდ დანაშაულს ჩავდივართ.

არცთუ დიდი ხნის წინათ თბილისის „დინამოს“ შემადგენლობიდან სხვადასხვა მიზეზით წავიდნენ: გ. ჩოხელი, ჯ. ზეინაღლიშვილი, ბ. სიჭინავა, შ. იამანიძე, ს. კოტრიკაძე, ი. დათუნაშვილი, მ. მესხი... შვიდი მოთამაშე! ეს ხომ თითქმის მთელი გუნდია! რა გზით შეივსო „დინამომ“ თავისი რიგები? ადრე „დინამოს“ დუბლიორთა სატურნირო მდგომარეობა წლიანდელ სეზონშიც არასახარბიელო აღმოჩნდა. საერთოდ კი ახალგაზრდა ფეხბურთელთა აღზრდა, სრულფასოვანი რეზერვის შექმნა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ქულებისათვის ზრუნვა.

ეს არის საკითხის ერთი მხარე. ახლა ვიკითხოთ — ყველა ფეხბურთელი, რომლებიც ზამთარ ჩამოვთამაშეთ, დროულად წავიდა გუნდიდან? თუ ვინმე ფიქრობს, თითქოს 27 წლის ჯ. ზეინალიშვილს 1964 წლის შემდეგ თამაში აღარ შეეძლო, რადას გვეტყვის ს. პოტრიკაძეს, რომელმაც გასულ წელს ქუთაისის „ტორპედოში“ შესანიშნავი თამაშით დამტკიცა, რომ „დინამო“ იჩქარა მისი „გაცილება“ და მხოლოდ ერთადერთი გამოდგილი მეკარის იმედით დარჩა? ანდა გავიხსენოთ შოთა იამანიძე. განა ნაადრევი არ იყო მისი წასვლაც?

ფეხბურთი არ შეიძლება უტალანტებოდ. მეურნეული ფეხბურთელებს საერთო ხასიათის დარიგებებს უნდა აძლევდეს, მოედანზე კი რაც ხდება დასამახსოვრებელი, ეს ძირითადად იმპროვიზაციაა, რომელიც მხოლოდ ტალანტებს ძალუძთ.

ზოგიერთ ჩვენს მწვრთნელს ფეხბურთის თამაში თოჯინების თეატრის სპექტაკლის მსგავსად წარმოუდგენია. გამოაბამენ თოჯინებს თოკებს და ამოძრავებენ მათს ფეხებს... ყოველ ფეხბურთელს, როგორც საერთოდ ყოველ ადამიანს, ინდივიდუალური თვისებები აქვს. ეს არის სხვისგან განსხვავებული, რომელიც მას გამოარჩევს.

ზოგიერთი მწვრთნელის კონფლიქტი მისეულ მესხთან სწორედ ამ ჭეშმარიტების დავიწყების გამო ხდებოდა. მ. მესხის თამაში ყოველთვის გამოირჩეოდა ინდივიდუალობით და იმპროვიზაციის, სათამაშო ეპიზოდების ორიგინალური გადაჭრით და გადაწყვეტით.

მთავარია, იგი საუკეთესო იყო მოედანზე. წელს კი კარგა ხნის „შესვენების“ შემდეგ გამოვიდა მსოფლიოში აღიარებული გუნდის — ურუგვაის „ნასიონალის“ წინააღმდეგ. მის ამხანაგებს, ვფიქრობ, საწყენად არ დარჩებათ, თუ ვიტყვი, რომ იმ დღეს მ. მესხი საუკეთესო იყო მოედანზე. ცოტას როდი ნიშნავს, ასე გამოირჩეოდე 22 რჩეულ ქართველ და ურუგვაელ ფეხბურთელს შორის! მაშ განა საოცარი არ არის, რომ ასეთ ფეხბურთელს ვაცილებდეთ, როგორც „მოხუცს“? ვინ გამოიგონა მარტო პასპორტით ფეხბურთელის კლასის განსაზღვრა? 40 წლის ლ. იაშინის თამაში ნახეთ და დაფასეთ ის გულთბილობა, რასაც მისდამი ყოველ-

ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘᲡ ᲪᲐᲚᲐᲜᲢᲔᲑᲘ ᲐᲛᲝᲥᲕᲔᲜᲔᲑᲔᲜ

ᲥᲕᲔᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘᲡ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ

„დინამოს“ დუბლიორთა სატურნირო მდგომარეობა წლიანდელ სეზონშიც არასახარბიელო აღმოჩნდა. საერთოდ კი ახალგაზრდა ფეხბურთელთა აღზრდა, სრულფასოვანი რეზერვის შექმნა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ქულებისათვის ზრუნვა.

ეს არის საკითხის ერთი მხარე. ახლა ვიკითხოთ — ყველა ფეხბურთელი, რომლებიც ზამთარ ჩამოვთამაშეთ, დროულად წავიდა გუნდიდან? თუ ვინმე ფიქრობს, თითქოს 27 წლის ჯ. ზეინალიშვილს 1964 წლის შემდეგ თამაში აღარ შეეძლო, რადას გვეტყვის ს. პოტრიკაძეს, რომელმაც გასულ წელს ქუთაისის „ტორპედოში“ შესანიშნავი თამაშით დამტკიცა, რომ „დინამო“ იჩქარა მისი „გაცილება“ და მხოლოდ ერთადერთი გამოდგილი მეკარის იმედით დარჩა? ანდა გავიხსენოთ შოთა იამანიძე. განა ნაადრევი არ იყო მისი წასვლაც?

ფეხბურთი არ შეიძლება უტალანტებოდ. მეურნეული ფეხბურთელებს საერთო ხასიათის დარიგებებს უნდა აძლევდეს, მოედანზე კი რაც ხდება დასამახსოვრებელი, ეს ძირითადად იმპროვიზაციაა, რომელიც მხოლოდ ტალანტებს ძალუძთ.

ჩვენი სტადიონები დიდია, უფრო დიდიც აშენდება. ყველა მაყურებელს თავისი შეხედულება აქვს გუნდზე და ცალკეულ ფეხბურთელზე. მაგრამ რა გამოვა, ყველა რომ ჩაერიოს მწვრთნელის საქმეში? რატომ ჭკონია ვინმეს, რომ თუ ჩარევაზე ხელი მიუწვდება, ეს იმას ნიშნავს, თითქოს მას უკეთ ესმის ფეხბურთი, ვიდრე თვით ფეხბურთელს, მწვრთნელს ან მაყურებელს, რომელიც ასე უფლებამოსილი არ არის? გუნდის საქმეში ჩარევას და უადგილო დირექტივებს ბოლო უნდა მოეღოს.

როცა ვლადიკავკაზ მწვრთნელის დამოუკიდებლობაზე. მხედველობაში მაქვს საქმის მცოდნე სპეციალისტი. ყველა მსახიობი რეჟისორად ვერ ივარგებს, მაგრამ რატომ გვგონია, რომ ყველა ფეხბურთელი, მიუხედავად გამოცდილებისა და ასაკისა, კარგი მწვრთნელი იქნება?

ფეხბურთში ბევრი ავიც მინახავს და კარგიც, მაგრამ დღემდე ამოცანად დამრჩა — რატომ დატოვა მ. მესხმა ასე აღრე დიდი ფეხბურთი? განა ცუდად თამაშობდა? გასულ წელს იგი რატომღაც იშვიათად გამოჰყავდათ გუნდის შემადგენლობაში, მისი მონაწილეობით „დინამოს“ თითქმის არ წაუგია თამაში და, რაც

„დინამოს“ დუბლიორთა სატურნირო მდგომარეობა წლიანდელ სეზონშიც არასახარბიელო აღმოჩნდა. საერთოდ კი ახალგაზრდა ფეხბურთელთა აღზრდა, სრულფასოვანი რეზერვის შექმნა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ქულებისათვის ზრუნვა.

ეს არის საკითხის ერთი მხარე. ახლა ვიკითხოთ — ყველა ფეხბურთელი, რომლებიც ზამთარ ჩამოვთამაშეთ, დროულად წავიდა გუნდიდან? თუ ვინმე ფიქრობს, თითქოს 27 წლის ჯ. ზეინალიშვილს 1964 წლის შემდეგ თამაში აღარ შეეძლო, რადას გვეტყვის ს. პოტრიკაძეს, რომელმაც გასულ წელს ქუთაისის „ტორპედოში“ შესანიშნავი თამაშით დამტკიცა, რომ „დინამო“ იჩქარა მისი „გაცილება“ და მხოლოდ ერთადერთი გამოდგილი მეკარის იმედით დარჩა? ანდა გავიხსენოთ შოთა იამანიძე. განა ნაადრევი არ იყო მისი წასვლაც?

ფეხბურთი არ შეიძლება უტალანტებოდ. მეურნეული ფეხბურთელებს საერთო ხასიათის დარიგებებს უნდა აძლევდეს, მოედანზე კი რაც ხდება დასამახსოვრებელი, ეს ძირითადად იმპროვიზაციაა, რომელიც მხოლოდ ტალანტებს ძალუძთ.

ჩვენი სტადიონები დიდია, უფრო დიდიც აშენდება. ყველა მაყურებელს თავისი შეხედულება აქვს გუნდზე და ცალკეულ ფეხბურთელზე. მაგრამ რა გამოვა, ყველა რომ ჩაერიოს მწვრთნელის საქმეში? რატომ ჭკონია ვინმეს, რომ თუ ჩარევაზე ხელი მიუწვდება, ეს იმას ნიშნავს, თითქოს მას უკეთ ესმის ფეხბურთი, ვიდრე თვით ფეხბურთელს, მწვრთნელს ან მაყურებელს, რომელიც ასე უფლებამოსილი არ არის? გუნდის საქმეში ჩარევას და უადგილო დირექტივებს ბოლო უნდა მოეღოს.

როცა ვლადიკავკაზ მწვრთნელის დამოუკიდებლობაზე. მხედველობაში მაქვს საქმის მცოდნე სპეციალისტი. ყველა მსახიობი რეჟისორად ვერ ივარგებს, მაგრამ რატომ გვგონია, რომ ყველა ფეხბურთელი, მიუხედავად გამოცდილებისა და ასაკისა, კარგი მწვრთნელი იქნება?

ფეხბურთში ბევრი ავიც მინახავს და კარგიც, მაგრამ დღემდე ამოცანად დამრჩა — რატომ დატოვა მ. მესხმა ასე აღრე დიდი ფეხბურთი? განა ცუდად თამაშობდა? გასულ წელს იგი რატომღაც იშვიათად გამოჰყავდათ გუნდის შემადგენლობაში, მისი მონაწილეობით „დინამოს“ თითქმის არ წაუგია თამაში და, რაც

ᲐᲜᲓᲠᲔᲐ ᲫᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ,
სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.



მე, რა თქმა უნდა, საჭიროდ არ მიმაჩნია მ. მესხის დახასიათება — რაინდული, ვაკაცური ხასიათი, ფეთქებადი თამამი. იმპროვიზაცია, ერთგულება თავისი საფეხბურთო კრედოსადმი... მისი თვისებები საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ აქ მხოლოდ ერთს დავძენ: საბჭოთა ფეხბურთს სხვა ასეთი. მარცხენა გარეშარბი არასოდეს არა ჰყოლია, უფრო მეტიც — იგი ახლაც საუკეთესო ფორვარდად დარჩებოდა... რომ თამაშობდეს!

ჩვენს პრესაში აღინიშნა, რომ როცა იგი მსოფლიო ნაკრებში სასთამაშოდ მიიწვიეს, მის წასვლას ხელი შეუშალეს „ფეხბურთის ბიუროკრატებმა“, რომ ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატშიც ასეთივე მიზეზით არ მონაწილეობდა. საინტერესოა, ვინ გასცემს ამაზე პასუხს სპორტის მოყვარულებს? ჩანს, მ. მესხის „გაცილება“ ადრე დაწყებულა!

მე, როგორც ძველ ფეხბურთელს და მწვრთნელს, გული მტკივა, როცა მომაგონდება მ. მესხის გაცილება და ბიგრის მეუნიბრება 16 ივლისს „ლოკომოტივის“ სტადიონის ტრიბუნების რეაქცია: მესხის სიყვარულის გამომხატველი მკერდარი ოვაცია, აცრემლებული მაყურებლები...

ჩვენ არა გვაქვს უფლება ზერელედ, უგულოდ მოვეკიდოთ სპორტის საქმეებს. მიხეილ მესხი და ჩვენი სპორტის სხვა ვარსკვლავები ახალგაზრდა თაობისათვის მისაბაძი მაგალითია. ნუ გაუფცრეთმ ჩვენს ახალგაზრდობას იმედს, რომ სპორტული გმირობა ყოველთვის ფასდება!

ᲐᲜᲓᲠᲔᲐ ᲫᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ,
სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

ნაირ-ნაირი

იუბილარი 133 წლისაა

ოცდამეხუთე შვილთაშვილი შეემატა აზერბაიჯანის ქალაქ ალი-ბაირამლის უხუცესი მცხოვრების ბეიუკაგ კასუმოვის დიდ ოჯახს. ეს ამბავი დაეთხვა პატრიარქის ცხოვრების სხვა ღირსშესანიშნავ თარიღს, მისი დაბადების 133 წლისთავს.

ქალაქის საზოგადოებრიობამ გულთბილად აღნიშნა უხუცესი მცხოვრების დაბადების დღე — მას და ახალშობილის მშობლებს ბევრი საჩუქარი მიართვეს. გოგონას დაარქვეს ვიუგაარი, რაც სიმაყეს ნიშნავს.

კასუმოვების გვარში 60 კაცია. მათგან 40-ზე მეტს აქვს საშუალო, საშუალო-ტექნიკური და უმაღლესი განათლება.

საინტერესოა, რომ ფიზიოლოგიისა და ექიმების გაანგარიშებით აზერბაიჯანის მოსახლეობის ერთ პროცენტზე მეტი ას წელზე მეტ ხანს ცხოვრობს. მაგრამ მათი უმრავლესობა მთის სოფლებში ცხოვრობს და ბეიუკაგ კასუმოვი, რომელიც დაბლობის ქალაქში ცხოვრობს, გამონაკლისია.

(საკ.ფეხ).

ᲝᲗᲮᲜᲘ—ᲢᲧᲣᲐᲔᲑᲘ

რომი, 18 ნოემბერი. იტალიის ქალაქ ბერგამოს მცხოვრებმა ჯაკომინა გრასიმ ოთხი ტყუპის ცალი შობა. დედა და ახალშობილები — სამი ბიჭი და ერთი გოგო — თავს კარგად გრძნობენ.

24 ნოემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 08.10 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები და საცეკვაოები, 09.25 — ნ. გუდიაშვილი. კონცერტი ფორტეპიანოს, ვიოლინოს, ჩელოსა და ორკესტრისათვის, 11.05 — ა. რუბინშტეინი. ნაწყვეტები ოპერა „დემონიდან“, 11.45 — უკრავს ახსამბლი „ბალალაიკა“, 12.10 — რადიონარკვევი „ლენინის ორდენსანი“, 12.25 — ნ. მაიაკოვსკი. მეთორმეტე სიმფონიური კვარტეტი სოლ მაჟორი, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდოდგმა „ბურატინოს თავგადასავალი“ (ნაწილი მეორე), 18.10 — ა. მაჭავარიანი. კამერული ნაწარმოებები, 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. ციკლი „მარად ცოცხალი“. საუბარი „რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატის ბელადი“, 19.15 — ვ. ზუმე. ნაწყვეტები კომიკური ოპერა „დონიაჟუანტადან“, 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.20 — „კოლმეურნეთა მესამე ყრილობის შესახებდრადო“ (მოსკოვი), 20.30 — ს. ცინცაძე. მეორე სიმფონია, 21.00 — „ძალისპრული“. 21.15 — საუბარი „ლენინის სახე ქართულ საბჭოთა სახვით ხელოვნებაში“, 22.00 — კონცერტი ახალგაზრდობისათვის, 22.50 — ო. თევდორაძე. სიმღერები, 23.30 — ა. პეტროვი. სიუიტა „იმედის ნაპერწკალი“, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

● **23 ნოემბერი**

10.30 — ბავშვებისათვის — მაღვიძარა (გადმოცემა ხარკოვიდან), 11.00 — მუსიკალური კიოსკი (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ჩვენი სატელევიზიო ფელეტონი, 11.40 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ჩემთან, მუხტარ“, 14.00 — ა. ჩეხოვი „ალუბლის ბაღი“ საბჭოთა არმიის ცენტრალური თეატრის სპექტაკლი (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.25 — სპორტული გადაცემა, 18.00 — ხელოვნების საგანძური, 18.20 — კინონარკვევი, 18.30 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა „კინომოგზაურთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — კინოფიში, 20.00 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა „მეგობრობის მეოლიდეები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — მუსიკა მიხეილ ჭიაურელის ფილმებზე“, 22.00 — ქართული მხატვრული ფილმი „დაკარგული სამოთხე“.

● **24 ნოემბერი**

11.00 — კინოპროგრამა, 12.00 — ქართული მხატვრული ფილმი „დაკარგული სამოთხე“, 18.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — განსხვადებები, 18.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. ბავშვებისათვის — ნახატი ფილმები, 19.00 — გადაცემა „ჩვენი იუბილიული კონსულტაცია“, 19.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.55 — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქართველოს კულტურის დღეების მონაწილე მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების კონცერტი, 22.00 — გერმანული მხატვრული ფილმი „პრეფექტი გადადებულია“.

● **25 ნოემბერი**

11.00 — კოლმეურნეთა მესამე საკავშირო ყრილობისადმი მიძღვნილი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა — „კინოობიექტივი“ (15 ნოემბრის გადაცემის გამეორება), 17.55 — ახალი ამბები, 18.00 — ბავშვებისათვის — „გაბეღული ფოტომონადირე“, 18.15 — დოკუმენტური ფილმი, 19.15 — სპორტული გადაცემა, 20.00 — „კანონი და კანონიერება“, 20.30 — გადაცემა „გამოჩენილი სომეხი კომპოზიტორი კომიტასი“, 21.15 — გადაცემა „ხმა მოყვარე მოყვრისათვის“, 21.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.15 — კოლმეურნეთა მესამე საკავშირო ყრილობისადმი მიძღვნილი გადაცემა (გადმოცემა მოსკოვიდან).

● **26 ნოემბერი**

11.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ბავშვებისათვის — „ილამაზეთ ჩვენთან ერთად“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — რუბინული მხატვრული ფილმი „კატასტროფა „ბავ მთაზე“, 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — კინონარკვევი, 18.15 — განცხადებები, 18.20 — ბავშვებისათვის — „შეეხეთ ხალხური სიმღერები“, 18.50 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა“, „ჩვენი გამოცდილება ფერმერების დატრესების საქმეში“, 19.10 — სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „ბაფუ კრავეიშვილი“. პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 19.40 — გადაცემა „მე-13 ხელფასი“, 20.15 — კინონარკვევი, 20.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — იუგოსლავიური მხატვრული ფილმი „ორმაგი ალყა“ (ქართულ ენაზე), 22.00 — ფეხბურთი ევროპის ჩემპიონთა თასზე. „ფიორენტინა“ იტალია — „დინამო“ კიევი (გადმოცემა ფლორენციიდან).

● **27 ნოემბერი**

11.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ბავშვებისათვის — „ბუნების საოცრებანი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — კინოპროგრამა, 12.30 — იუგოსლავიური მხატვრული ფილმი „ორმაგი ალყა“ (ქართულ ენაზე), 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — ბავშვებისათვის — „ეძებენ ფიქრებში“, 18.35 — მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შემსწავლელთა დასახმარებლად — „საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციები“, 18.55 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა — „ბუნების კარი“, 20.00 — კალათბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე — „დინამო“ თბილისი — სკა კიევი. შესვენების დროს — „მოამბე“, საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კოლმეურნეთა მესამე საკავშირო ყრილობის დღიური (ვიდეოჩანაწერი), 21.45 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „ბრილიანტის ხელი“.

● **28 ნოემბერი**

11.00 — კინოპროგრამა, 11.40 — პოლონური მხატვრული ფილმი „იდუმალი მგზავრი“, 17.00 — კოლმეურნეთა მესამე საკავშირო ყრილობის საზეიმო დახურვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.25 — პროგრამა მეორე დღისათვის, 20,30 — „ეარანი მეგობრებს იკრებს“ — გადაცემა თბილისიდან ინტერვიზიისათვის, 21.30 — „ქართველი კინოდოკუმენტალისტები“, 23.00 — ხელოვნების ოსტატთა შეხვედრა სოფლის მეურნეობის მუშაკებთან (გადმოცემა მოსკოვიდან).

● **29 ნოემბერი**

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — „იყავით ბედნიერნი“ — მუსიკალური გასართობი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — კინოპროგრამა, 12.10 — გადაცემა „აფხაზეთის შემოქმედებითი ახალგაზრდობა“, (22 ნოემბრის გადაცემის გამეორება), 13.40 — დოკუმენტური ფილმი, 14.30 — „ტელეკანონრამა“ — საინსტრადო-საინფორმაციო პროგრამა, 17.05 — ახალი ამბები, 17.15 — „სამოქალაქო თავდაცვის შესახებ“, 17.30 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო ჟურნალი, 18.20 — სატელევიზიო ფილმი „მეგობრულ ო